№ 10
(11 262)

9 – 11 თებერვალი, 1999 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# პირველი ნაბიჯების შტრიხები



რაიმე დიდად მნიშვნელოვანი და უაღრესად საინტერესო სფფ-ს აღმასკომის მორიგ სხდომაზე მოსალოდნელი არ იყო – მერაბ ჟორდანიამ გაპრეზიდენტობისთანავე ცალსახად და ნათლად წარმოაჩინა თავისი როგორც სფფ-ს მმართველის იმიჯი ანუ თანმიმდევრული პოლიტიკა.

ჩვენი უმთავრესი სატკივარი, ეროვნული გუნდი რომ ერთი მთლიანი კოლექტივია, ეს არავის უნდა აეჭვებდეს. აღმასკომის სხდომის შემდეგ სახელდახელოდ გამართულ პრესკონფერენციაზე მერაბ ჟორდანიამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ნაკრების ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს შორის არავითარი კონფლიქტი არ არსებობს. სფფ პრეზიდენტის და ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის პრინციპები იდენტურია – ფეხბურთელი უნდა დაემორჩილოს მწვრთნელის მითითებებს და გადაწყვეტილებებს. თუმცა,

იხ. მე-3 გვ.

# დიდი მეფის სახელის მადლი სპორტსაც გადასწვდება

დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით ქუთაისში კვირეული იმართება, რომლის თითოეული დღე არა მხოლოდ ქუთაისის და მთელი რეგიონის, არამედ სრულიად საქართველოს ინტერესებს ეხმიანება. დღეს, 9 თებერვალს „სპორტის დღეა". ამასთან დაკავშირებით ქუთაისში მიიწვიეს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯანსუღ ბაგრატიონი. ქართული სპორტის თავკაცები ადგილობრივ და სამხარეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად განიხილავენ ეროვნული სპორტის პრობლემებს, ქალაქის და, საერთოდ, რეგიონის წვლილს მის გადაჭარაში, ეწვევიან სპორტულ ბაზებს, მათ შორის, „დაკონსერვებულ" ბაზებს, გაეცნობიან ეროვნული ნაკრებების წევრებისა და ოლიმპიური თამაშების კანდიდატების წვრთნის პირობებს. მოინახულებენ სპორტულ ლიცეუმს. შემდეგ ქუთაისის მერიაში ჩატარდება გაფართოებული თათბირი ადგილობრივი და სამხარეო ორგანიზაციების ხელმძღვანელების, აგრეთვე სპორტისა და სამეურნეო მუშაკების მონაწილეობით.

სტუმრები ქუთაისში სპორტული ნობათებით ჩავლენ.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახური

## ამხანაგური. საერთაშორისო...

**საქართველო (ახალგაზრდული ნაკრები) – აზერბაიჯანი (ახალგაზრდული ნაკრები) 5–0**

***საქართველო:*** ლომაია (გაბელია, 62), ჩხეტიანი, ალადაშვილი, მახვილაძე (ნინუა, 74), სახვაძე, ჩომახიძე (ხუციშვილი, 46), კვარაცხელია (ჭანკოტაძე, 71), ალექსიძე (დევიძე, 75), ყიფიანი, აშვეთია (შენგელია, 62), მეგრელაძე (წიტაიშვილი, 68).

***აზერბაიჯანი:*** ჰესენ-ზადე (უზლოიკოვი, 62), მამედოვი (გიენაევი, 76), აბდაშევი, გიელოევი, შექიაროვი, სიელფანოვი, ა. ისმაილოვი, გავიცილინი, ახვერდიევი, ნ. ისმაილოვი, ყინაბანოვი.

***გოლები:*** აშვეთია (8, 65), ხუციშვილი (60), ნინუა (72), წიტაიშვილი (81).

***გააფრთხილეს:*** ჩხეტიანი.

***მსაჯი:*** ოთარ გუნთაძე (საქართველო).

მიუხედავად იმისა, რომ მატჩი არასაფეხბურთო დროს (13 სთ) იყო დანიშნული, „ისნის" სტადიონი ანშლაგმა მოიცვა (თამაშზე დასწრება უფასო გახლდათ), ზოგმა საქართველოს დროშაცააფრიალა, მაგრამ საფეხბურთო ზეიმი ან ზეიმისმაგვარი მაინც ვერ შედგა.

აზერბაიჯანელები პირველ ტაიმში, ასე თუ ისე, ახერხებდნენ სათამაშო დისციპლინის დაცვას, ხისტად, შეუპოვრად მოქმედებას მოედნის შუაგულში. ამის შემყურე მასპინძლებმა ფლანგებზე აქტიურობას და ბურთის გრძელ გადაცემებს მიმართეს. ვერ იტყვის კაცი ჩვენს ბიჭებს ყველაფერი გამოსდიოდათო, მაგრამ განსხვავება კლასში იმდენად აშკარა იყო, რომ სტუმრები ერთხელაც ვერ დაემუქრნენ ლომაიას კარს. აზერბაიჯანელი ახალგაზრდები განსაკუთრებით მაშინ გამოიყურებოდნენ ერთობ უსუსურად, როცა გიგლა იმნაძის შეგირდები სისწრაფეს და აგრესიულობას უმატებდნენ. სწორედ ამის შედეგად, მეორე ტაიმში ისინი პირწმინდად გაუსწორდნენ ჩვენს მეზობლებს.

...და მაინც, ასეთი მატჩები უთუოდ გამოადგება ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს, რათა თანდათან გამოკვეთოს წამყვან მოთამაშეთა ჯგუფი, შესაძლოა ლიდერიც, გამოჩნდეს ხარვეზები, მწვრთნელის ექსპერიმენტების მართებულობა, რამაც ყველანი სერიოზულ გამარჯვებებში უნდა დაგვაიმედოს.

# ახალი ამბები სფფ-დან

## ფედერაციის კურსს აჭარა მხარს უჭერს

როგორც ვიუწყებოდით, ამ დღეებში დასავლეთ საქართველოში ადგილობრივ ხელმძღვანელებთან და საფეხბურთო კლუბებთან კონსულტაციებისთვის გაემგზავრა სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია. ბათუმში სტუმრებს შეხვდნენ ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ ბათუმის მაღალი თანამდებობის პირებს, საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელებს. შეხვედრისას მასპინძლებმა სფფ-ს ახალი ხელმძღვანელების კურსის სრული მხარდაჭერა გამოხატეს, ეთანხმებიან სფფ-ს სტრუქტურას, კლუბებისადმი წაყენებულ მინიმალურ მოთხოვნებს, ჩემპიონატის რეგლამენტს და ა.შ. ქალაქის მერიამ დაადასტურა სრული მზადყოფნა და გარანტიები მატჩების დროს ექსცესების თავიდან ასაცილებლად.

დასკვნა ასეთია: ქართული ფეხბურთის პრობლემები საერთო საზრუნავია და აჭარა მზადაა სფფ-ს აქტიურად შეუწყოს ხელი მათ დაძლევაში.

## ნიგერიელი „უჩა" ბათუმშია

**ბოლო ხანებში ცნობილი გახდა, რომ ბათუმის „დინამო" ნიგერიელი ფეხბურთელის უჩ უავაკვეს გასინჯვას აპირებდა კლუბში მისაწვევად. ეს ლეგიონერი უკვე ბათუმშია და დღეს მას ტრაპიზონში ჩაიყვანენ, სადაც ბათუმის „დინამო" ეროვნული ჩემპიონატის წინ მზადების ბოლო ეტაპს ატარებს. ბათუმში ნიგერიელი უკვე მონათლეს და მას „უჩას" ეძახიან. ასე რომ, თუ ამ ლეგიონერმა „დინამოს" მწვრთნელებს თამაშით თავი მოაწონა, ტრიბუნებიდან შეიძლება მოვისმინოთ ხმაშეწყობილი შეძახილი უ-ჩა, უ-ჩა!**

## ოკეი! უპასუხა აგენტმა...

ტაილანდში საქართველოს ეროვნული ნაკრების გამგზავრების საკითხის დადებითად გადაწყვეტა ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება. ნაკრების უცხოელმა აგენტმა ფაქსი გამოაგზავნა სფფ-ში და მთავარ კითხვაზე, თუ როგორ მიდის ტაილანდის ტურნირში ჩვენი ნაკრების მონაწილეობის საკითხი, მოკლედ უპასუხა, — ოკეი!

სფფ-მ ეროვნული ნაკრებისთვის უკვე დაუკვეთა გასამგზავრებელი ავიაბილეთები. ახლა ორგანიზატორთაგან ტაილანდში ნაკრების მიღების დაზუსტებულ პროგრამას ელოდებიან.

## მიწვევა ესტონეთში

**გუშინ, ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციამ სფფ-ს ფაქსით აცნობა, რომ სურვილი აქვთ წლეულს აგვისტოში დაიგეგმოს ამ ორი ქვეყნის პირველი ნაკრებების ამხანაგური მატჩი ესტონეთში. მიწვევა გუშინვე გააცნეს ჩვენი ნაკრების უფროს მწვრთნელს ვლადიმერ გუცაევს, რომელმაც წინასწარი თანხმობა განაცხადა, მაგრამ საბოლოო პასუხს არ ჩქარობენ, შესათანხმებელია თარიღი.**

## აფხაზეთის რჩეულნი

დევნილობაში მყოფი აფხაზეთის სპორტი კვლავ რჩება დედასაქართველოს სპორტის ავანგარდში და უამრავი სიძნელეების მიუხედავად კვლავ ღირსეული წვლილი შეაქვს საქართველოს სპორტულ წარმატებებში საერთაშორისო სარბიელზე.

აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტმა ამ დღეებში შეაჯამა 1998 წელს აფხაზეთის სპორტსმენთა მიღწევები და გამოავლინა საუკეთესო სპორტსმენები, გუნდები და მწვრთნელები. აფხაზეთის წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებულია მოჭიდავე *ელდარ კურტანიძე,* რჩეულთა შორის არიან მსოფლიო ჩემპიონები რინგში *ტარიელ* და *ამირან ბიწაძეები,* მოჭიდავეები *გ. რურუა, გ. ბერიძე, შ. ხარებავა, გ. ხარებავა,* მოჭადრაკე *რ. გოლეთიანი,* მკლავჭიდელი *ქ. რაზმაძე,* ცხენოსნები *ც. ნარმანია* და *ლაბაშია,* მძლეოსნები *ვ. ჩხაპელია* და *ლ. ბებია.* საუკეთესო გუნდებია სოხუმის „ცხუმი" და გაგრის „დინამო" (ორივე — ფეხბურთი), „კოლხა" (კალათბურთი). საუკეთესო მწვრთნელები *გ. ესებუა* (ბ/რ ჭიდაობა), *ა. მაისურაძე, ა. შენგელია* (თავ. ჭიდაობა), *ვ. კვარაცხელია* (კალათბურთი), *მ. ლაბაშია* (ცხენოსნობა).

## წოდების მინიჭება

**საქართველოში სპორტის განვითარების, ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდისა და მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადებაში შეტანილი დიდი პირადი წვლილისათვის საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა სპორტის დამსახურებული *მუშაკის* წოდება მიანიჭა:**

**თამაზ შარაშენიძეს** – ვაკის რაიონის სასპორტო სკოლის დირექტორს;

**გიორგი ერქომაიშვილს** – საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს მძლეოსნობაში;

**ნიკოლოზ წერეთელს** – ქ. ქუთაისი, პენსიონერს, ომისა და შრომის ვეტერანს, ეროვნული კატეგორიის მსაჯს მძლეოსნობაში;

**ლილი აბულაძეს** – ქ. თბილისის სამხატვრო აკადემიის ფიზაღზრდის კათედრის გამგეს, დოცენტს;

**ჯოკია შკუბულიანს** – ცაგერის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს;

**ბიძინა დეკანოზიშვილს** – თელავის ტექნიკური კოლეჯის ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელს;

**ნუგზარ ძუკაევს** – საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს სპორტულ აკრობატიკაში;

**ვალერი ლომაძეს** – შპს „სპორტის სასახლის" დირექტორს, ვეტერან კალათბურთელს

**ნუგზარ კალანდაძეს** – ექსპერიმენტული სასპორტო სკოლის მწვრთნელს მძლეოსნობაში;

**თენგიზ არაბულს** – საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის გენერალურ მდივანს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს;

**თენგიზ მორჩილაძეს** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს და მწვრთნელს ფარიკაობაში.



**კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი**

**ვერის ბაღში გაიმართა XIII ტურის მატჩები:**

შევარდენი — ასკ 89:110,
აზოტი — სდასუ 90:69,
თსუ — კოლხა 88:79,
სტუ — მაკაბი 71:64,
დინამო — ვითა 85:102.

**თემა განსჯისათვის**

# ჟანგბადი ბიუჯეტიდან

## *დღეს ქართულ სპორტს ან კუთხეში დააყენებენ, როგორც ურჩ ბერს, ან თავზე ხელს გადაუსვამენ, როგორც საყვარელ შვილს*

*დიახ, ეს დღეს მოხდება ქვეყნის მიმდინარე წლის ბიუჯეტის საკომიტეტო განხილვაზე, კომიტეტი კი ჯანმრთელობის, განათლების და სპორტისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ წილზე ერთდროულად იმსჯელებს.*

*რას უნდა ველოდეთ საკომიტეტო განხილვიდან? თუ გავითვალისწინებთ, უფრო სწორად, თუ გაითვალისწინებენ ქართული სპორტის როლს და ფუნქციას ერის ცხოვრებაში, მის ტრადიციებს და დღევანდელ გარემოებას, თუნდაც შარშანდელი წარმატებების ფონს და, თუნდაც, ქვეყნის პრეზიდენტის შეპირებას დაფინანსების გაორმაგების თაობაზე, კომიტეტმა ყველაფერი უნდა იღონოს, რომ ახალმა ბიუჯეტმა, დეფიციტის გათვალისწინებით, ქართული სპორტისთვის რეანიმაციის ფუნქცია შეასრულოს და არა ჟანგბადის ფრთხილად შეწყვეტის მისია. ეს ძალზე მნიშვნელოვანია ქართული სპორტის არა მხოლოდ დღევანდელი თუ წლევანდელი, არამედ, საერთოდ, მისი მომავლისთვისაც, რადგან მატერიალური დასაყრდენის გამოცლა ყველა რგოლში შეასუსტებს ურთიერთკავშირს, მოიშლება ვერტიკალური მემკვიდრეობითობა.*

*მოკლედ, დღეს ბევრი რამ გადაწყდება. ეჭვიც არ გვეპარება, რომ კომიტეტის წევრები თავგამოდებით დაიცავენ ჩვენი სპორტის ინტერესებს და პარლამენტსაც დაარწმუნებენ, რომ ქართული სპორტისათვის სასიცოცხლო მინიმუმი (ის, რაც შარშან გამოიყო ამ მინიმუმზე, უსაშველოდ დაბალი იყო) მისი გადარჩენის ულტერნატივო გზაა. იმედია, სიდნეის ოლიმპიადისათვის უკეთ მოსამზადებლადაც გამოინახება შესაბამისი თანხები.*

*ეს თემა კი განსჯისათვის შემთხვევით არ წამოგვიწევია – მთელი ჩვენი სპორტული სამყარო და საზოგადოებრიობა მოუთმენლად ელოდება ქართული სპორტის გადასარჩენად პრაქტიკულ ნაბიჯს.*

***მიმომხილველი***



# გიორგი კანდელაკმა მორიგ სარეიტინგო ბრძოლაში ჩეხ ხუსაშიკს სძლია

# 56:5

**ინტერვიუს ტელეფონით გიორგი კანდელაკთან გთავაზობთ მე-2 გვ.**

ისტორიული ტელეფონით

# გიორგი კანდელაკი წინ მიიწევს

გიორგი კანდელაკმა პროფესიული კრივის გრძელ და მძიმე გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ. 7 თებერვალს, ინგლისის პატარა ქალაქ ჰალიფაქსში მეხუთე სარეიტინგო ბრძოლა გამართა. ამჯერად მისი მეტოქე ჩეხი მოკრივე ხუსაშიკი იყო. 6 რაუნდიან ბრძოლაში კანდელაკმა შანსი არ დაუტოვა მეტოქეს და გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა – 56:5.

გუშინ გიორგი კანდელაკი ჰალიფაქსიდან ლონდონს დაბრუნდა. ჩვენც სწორედ ლონდონში დავუკავშირდით გიორგის მაშინ, როცა ბრძოლისგან დაღლილი ჩვენი მეკრივე ლენოქს ლუისის საწვრთნელ ბაზაზე ისვენებდა.

● ***გიორგი, რას გვეტყვი გადახდილი ბრძოლის შესახებ?***



– ჩემი მეტოქე, ჩეხი ხუსაშიკი მეტად გამოცდილი მოკრივეა. 28 შეხვედრა ჰქონდა გამართული პროფესიულ რინგზე. აქედან – 26 გამარჯვება და 2 დამარცხება. ასეთი იყო მისი მონაგარი. თანაც, ხუსაშიკს ნოკაუტით ჯერ არ წაუგია შეხვედრა, თავს მუდამ ოსტატურად იცავს. 33 წლისაა.

ჩემთან შეხვედრაშიც ყველაფერი იღონა, რომ არ „გამხსნოდა" და ნოკაუტით არ წაეგო. მეტად მიუდგომელი და უცნაური სტილის მოკრივეა. მაინც მოვახერხე, რომ ექსივე რაუნდი მომეგო. მართალია, წმინდად ვერ დავამარცხე, მაგრამ აშკარა უპირატესობით ვძლიე – 56:5.

● ***შენი მწვრთნელი და მენეჯერები თუ დარჩნენ კმაყოფილები? წინა 4 შეხვედრა ნოკაუტით მოიგე, ეს კი მხოლოდ ქულებით...***

– ხუსაშიკს ინგლისში კარგად იცნობენ, საერთოდ, ამ ჩეხს პროფესიულ კრივში სოლიდური წონა და სახელი აქვს. ამიტომ, ყველა მაფრთხილებდა, რომ ფრთხილად ვყოფილიყავი და ქულებით გამარჯვებას დავჯერებოდი, ზედმეტად არ გამერისკა. მათ შორის ჩემი ბულგარელი მწვრთნელი მიხეილ ტაკოვი და ჩემი მენეჯერებიც იყვნენ. ყველა გახარებული და კმაყოფილი დარჩა, როცა გავიმარჯვე. უაზრო რისკს ფასი ეკარგება. ეს მათ კარგად იციან, ლამაზ გამარჯვებას ნოკაუტით, აბა, რა სჯობია, მაგრამ მთავარი მაინც მოგებაა.

● ***რა მოგცა ამ გამარჯვებამ?***

– პირველ რიგში სარეიტინგო ქულები შემძინა, კოეფიციენტი ამიმაღლა და წინ წავიწიე. რა თქმა უნდა, საკუთარი ძალების რწმენაც შემმატა.

● ***ამ სარეიტინგო ბრძოლებს როდის დაასრულებ?***

– როცა ევროპის 10 საუკეთესო მოკრივეთა შორის დავმკვიდრდები. ალბათ, 6-7 გამარჯვებაც მჭირდება და 10 საუკეთესო ევროპელ პროფესიონალებშიც მოვხვდები. აქ სარეიტინგო ბრძოლებს დავასრულებ და უფლება მომეცემა, ევროპის ჩემპიონობისთვის ვიბრძოლო. პარალელურად მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლის ნებასაც დამრთავენ.

● ***ინგლისში როგორი გამოხმაურება ჰქონდა შენს გამარჯვებას?***

– ჩემი და ხუსაშიკის გარდა, იმ დღეს ჰალიფაქსის რინგზე კიდევ 5 წყვილი გამოვიდა. სულ 6 შეხვედრა გაიმართა, მაგრამ ინგლისის საკაბელო ტელევიზიამ მარტო ჩემი და კიდევ ერთი ინგლისელის შეხვედრა აჩვენა. ის ინგლისელი 54 კილოგრამში ინგლისის ჩემპიონობას იცავდა. ასე რომ, 6 შეხვედრიდან მხოლოდ 2 გამოარჩიეს. ეს კი, მგონი, რაღაცას ნიშნავს. ინგლისურ პრესაში ბევრი დაიწერა ჩემზე. როგორც წესი, უცხოელი ჟურნალისტები დამწყებ პროფესიონალს დიდ ხოტბას არ ასხამენ, მაგრამ არც თბილ სიტყვებს იშურებენ ჩემთვის და რაც შემიძლია და გამიკეთებია, იმას ნამდვილად არავინ მიკარგავს.

● ***ამ შეხვედრის შემდეგ ამერიკაში აპირებდი წასვლას. როდის მიემგზავრები?***

– ამერიკაში ლენოქს ლუისი მიწვევდა, ჩამოდი კალიფორნიაში და ერთად ვივარჯიშოთო. მაგრამ ჩემმა მენეჯერმა ფრენკ მელოუნმა სხვაგვარად განსაჯა. მან არჩია, რომ კვლავ ინგლისში განვაგრძო ვარჯიში და კალიფორნიაში აღარ წავიდე, თანაც, 13 მარტის ნაცვლად, 6 მარტს უნდა გავმართო შეხვედრა, ისიც ინგლისში და აღარ ღირს ამერიკაში წასვლა. ახლა ერთი კვირით შინ, საქართველოში დავბრუნდები, მერე ისევ ლონდონში ჩამოვალ და აქ მოვემზადები 6 მარტის ბრძოლისთვის.

● ***მომავალი მეტოქე ვინ იქნება?***

– გვარ-სახელი არ ვიცი მოწინააღმდეგისა, მაგრამ მითხრეს, რომ ფრანგი ყოფილა. თურმე გარეგნულად ძალზე უცნაური ვინმეა: საშუალოზე ოდნავ დაბალი და 120 კილოგრამზე მეტს იწონის. ესეც ხუსაშიკივით მოუხელთებელი და მიუდგომელი მოკრივე ყოფილა და არც მას ჰყვარებია ნოკაუტით წაგება. ჯერჯერობით, მხოლოდ ეს ვიცი. დანარჩენსაც როცა ხელახლა ჩამოვალ ინგლისში, მაშინ შევიტყობ. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ მეტოქე შემიცვალონ და ფრანგის ნაცვლად სხვას შევხვდე.

● ***ლენოქს ლუისმა თუ შეიტყო შენი გამარჯვების ამბავი?***

– ლენოქსი ამჟამად ამერიკაშია და იქიდან ორჯერ დამირეკა, მომიკითხა და გამარჯვება მისურვა. ბრძოლის შემდეგ მე აღარ დავლაპარაკებივარ, ფრენკ მელოუნმა დაურეკა და უთხრა ჩემი გამარჯვების ამბავი. რა თქმა უნდა, გაეხარდებოდა. ძალზე გულღია და თბილი ადამიანია ლენოქსი, დიდად მქომაგობს.

# „მატჩი": გუბერნატორი ლებედი – რუსეთის კრივის ფედერაცია



ეს მეტად უსიამოვნო „მატჩი" იქნება, ამასთან, არავინ იცის, ვინ ვის ჩააგდებს ნოკაუტში. ერთი რამ ცხადია – ჯერჯერობით რუსეთის კრივის ფედერაცია ნოკდაუნშია კრასნოიარსკის მხარის გუბერნატორის, ცნობილ გენერალ ალექსანდრ ლებედის უძლიერესი, მაგრამ აშკარად წესების დარღვევით მიყენებული დარტყმის გამო.

მაინც რაშია საქმე?

კრასნოიარსკში მოეწყო მატჩი, რომელშიც რუსეთის მოკრივეთა ნაკრებმა დაამარცხა მსოფლიო ნაკრები, სუპერტურნირს „ჩემპიონები იწვევენ ჩემპიონებს" ჰქვია და რომ ლებედი ამ მატჩს არ დაესწრებოდა, ეს თავიდანვე ცხადი იყო, რადგან ამ შეჯიბრების ორგანიზატორი გახლდათ მისი ახლანდელი პოლიტიკური მოწინააღმდეგე, რუსეთის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი, მხარის საკანონმდებლო კრების დეპუტატი, სააქციო საზოგადოება „კრასნოიარსკის ალუმინის ქარხნის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, ცნობილი მილიონერი ანატოლი ბიკოვი.

როცა კორესპონდენტმა ჰკითხა, რატომ არ მივიდა იგი სპორტის სასახლეში, ლებედმა ზუსტად ასე განაცხადა:

– შეხედეთ აფიშას, ორთავე მხარეს ბრგე ყოჩაღი ბიჭების სიმეტრიული ფიგურებია, საბრძოლველად მომზადებულნი, მძიმეწონოსანნი. შუაში ანატოლი ბიკოვია. ეს ხომ გოპ-სტოპია...

დიახ, მაგრამ ეს გოპ-სტოპი რაღა არის?

სურათზე ოლიმპიური ჩემპიონი ოლეგ საიტოვია, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, კალმუყეთის გმირი რაიმკულ მალახბეკოვი, მსოფლიო ჩემპიონები ალექსანდრ ლეზბიაკი, ალექსეი ლუზინა და ალექსანდრ მალეტინი, გოპ-სტოპი კი ჟარგონული სიტყვაა და ნიშნავს „ავაზაკობას", „თავდასხმა", „ძარცვას".

– ასეთი გამოთქმა, თანაც ტელევიზიით წარმოთქმული, ჩვენი აზრით, რუსულ კრივსა და ოლიმპიურ მოძრაობას უზარმაზარ ზიანს აყენებს – განაცხადა ტურნირის „ჩემპიონები ჩემპიონებს იწვევენ" მთავარი მსაჯის მოადგილემ გიორგი როგაჩენკომ – ნაკრების წევრები და მწვრთნელები აღშფოთებულნი არიან. რუსეთის კრივის ფედერაცია ყველა ღონეს იხმარს, რათა ამის მთქმელი დაისაჯოს. ამ დღეებში მოსკოვში პრესკონფერენცია გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის ხუთი წამყვანი მოკრივე, ისინი, ვინც სურათზე არიან აღბეჭდილნი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ისინი შეურაცხყოფის გამო აპირებენ სასამართლოს მიმართონ.

რუსეთის კრივის ფედერაციაც სარჩელს შეიტანს პროკურატურაში.

რუსეთის კრივის ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტ ვლადიმირ ლაპტევის აზრით, ამ ჟარგონული გამოთქმით „გოპ-სტოპ" ლებედმა დანაშაული ჩაიდინა, რომელიც რუსეთის ფედერაციის კანონების 130-ე მუხლის მეორე ნაწილით არის გათვალისწინებული: „შეურაცხყოფა, ანუ მეორე პირის პატივისა და ღირსების დამცირება, გამოხატული უხამსი ფორმით".

– მან მხოლოდ დიდი სპორტსმენები როდი შეურაცხყო, რომელთა გამარჯვებების აღსანიშნავად უცხოეთში ბევრჯერ შესრულებულა რუსეთის ჰიმნი, არა მხოლოდ კარგი ახალგაზრდები, რომლებიც თავიანთი ქვეყნის პრესტიჟისათვის იღვწიან, მან შეურაცხყო მილიონობით ბიჭუნები, რომლებიც ოლიმპიურ კრივს მისდევენ და ცდილობენ მიბაძონ თავიანთ კერპებს.

გამოხმაურება

# „ერთიანი სპორტული სისტემა? რატომაც არა!"

***„ლელოს" წლევანდელ მე-3 ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნებულ წერილს რუბრიკით „თემა განსჯისათვის" გამოეხმაურა საჩხერის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე თამაზ ლაშხი. აი, რას გვწერს იგი:***

*„ერთიანი სპორტული სისტემის შექმნა განათლების ბავშვთა სპორტული სკოლების ჩათვლით, დროის მოთხოვნითაა ნაკარნახევი და მისი რეალიზაცია აუცილებელია. საბჭოთა ეპოქაში ასეთი დაქსაქსულობა თუ გამართლებული იყო, თუნდაც მეტი სახსრების მოზიდვისათვის, დღეს ეს სრულიად ზედმეტია, ცენტრი აღარ არის და არც თანხებს გამოჰყოფს ვინმე. საქართველოს ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებში უნდა გაერთიანდეს ის სახსრებიც, რომელიც ცალკე გამოიყოფა განათლების სისტემისათვის სპორტის გასავითარებლად. ამგვარი გაერთიანება გააიოლებს მართვასაც, ფული კი უფრო მიზნობრივად და კონკრეტული შედეგების გათვალისწინებით გაიხარჯება. განათლების სპორტსკოლების აბსოლუტურ უმრავლესობას ბაზებიც არ გააჩნია და ისინი მაინც ჩვენს ბაზებზე მეცადინეობენ. საერთო საქმეს დიდად წაადგება აგრეთვე სპორტსკოლების შტატების (ექთანი, დამლაგებელი და ა.შ.) სპორტის ადგილობრივ კომიტეტებზე გადაცემა."*

# ორი საგზური ცენტრალურ ამერიკას

ცენტრალური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების მოჭადრაკეების ზონას მსოფლიო პირველობის ორი საგზური მიეცა. ამასთან, ექსპერტების აზრით, მას კუბელი მოჭადრაკეები უნდა დაუფლებოდნენ.

დასაწყისში მართლა ასე სჩანდა. 6 ტურის შემდეგ დაწინაურდა დიდოსტატი არენსიბია, მაგრამ მერვე ტურში იგი დამარცხდა და საბოლოოდ პირველი ადგილი 7 ქულით კიდევ ერთმა კუბელმა დიდოსტატმა ბესერამ დაიკავა

2-3 ადგილები არენსიბამ და კოლუმბიელმა დიდოსტატმა ზაპატამ გაიყვეს, რომელთაც 6,5 – 6,5 ქულა მოაგროვეს. ორმა „სწრაფმა" დამატებითმა პარტიამ წარმატება კოლუმბიელს მოუტანა.

# კეთილშობილ ადამიანებს რა გამოლევს!

ფიდემ სამხრეთაზიურ ზონას, რომელიც რანგუნში (ბირმა) ჩატარდა, მსოფლიო ჩემპიონატის ორი საგზური გამოუყო.

მასში ორი ფილიპინელი მოჭადრაკე უნდა გამოსულიყო: ახალგაზრდა ანტონიო და აზიის პირველი დიდოსტატი ტორე. მათ ვერ შეძლეს გასამგზავრებელი თანხის მოგროვება. მაშინ ტორემ თავისი ფული ანტონიოს გადასცა და თხოვა ღირსეულად დაეცვა ფილიპინების სპორტული ღირსება.

შეჯიბრება შვეიცარული სისტემით ჩატარდა, 9 ტურად. 6,5 ქულით პირველი – მეოთხე ადგილები გაიყვეს ანტონიომ, ადიანტომ (ინდონეზია), შარავდორჯმა (მონღოლეთი) და ლიუმ (ინდონეზია).

დამატებითი შეჯიბრების შემდეგ ლას-ვეგასის საგზურები ანტონიომ და ადიანტომ მოიპოვეს.

# წიგნი, ლეონარდო და ვინჩი და ... ფეხბურთი

მიმავალი ათასწლეულის დასასრულის კვირაძალზე ინგლისურმა კორპორაციამ ბი-ბი-სიმ გადაწყვიტა დაედგინა: რომელი გამოგონებაა ამ 10 საუკუნის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი? გამოკითხვის შედეგად პირველი ადგილი დამაჯერებლად ხვდა წილად გერმანელ იოჰან გუტენბერგს, რომელმაც XV საუკუნეში დაბეჭდა პირველი წიგნი.

მეორე ადგილზეა თომას ედისონი, რაც გასაგებია, წიგნის კითხვას განათება უნდა, ისე რომ ეს ლოგიკურია. მესამე ადგილი ლეონარდო და ვინჩს უკავია, რომლის იდეები პრაქტიკულად კვლავ განუხორციელებელია.

გამოკითხვის ზოგიერთი მონაწილე „ოქროს სიაში" შესატანად სთავაზობდა ბორბალის უცნობ გამომგონებელს, აგრეთვე ფეხბურთსა (კონკურსი ხომ ინგლისელთათვის იყო) და. ... ტუალეტს.

# FOOTBALL SCHOOL IN GEORGIA



ნოდარ ახალკაცის სახელობის ბავშვთა საფეხბურთო სკოლა ვაკეში უეფას ყოველთვიურ ბიულეტენის „UEFA Flash"-ის ფურცლებზე მოხვდა. სურათთან ერთად, რომელსაც აქვე გთავაზობთ, მკითხველი ეცნობა სკოლის მნიშვნელობას მოზარდებისათვის და ორიგინალური საფეხბურთო მოედნის მახასიათებლებს.

UEFA flash

# ? შეკითხვა „ლელოს"

**ცნობილია, რომ საქართველოში შეიქმნა სამხარეო სპორტული სამმართველოები. გვაინტერესებს ეს ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურაა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, საიდან იღებს დაფინანსებას და როგორია საშტატო განრიგი?**

*ვახტანგ მენაბდე, ოზურგეთი*

შეკითხვას უპასუხებს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის რეგიონული მართვისა და მასობრივი სპორტის სამმართველოს უფროსი ნარგიზა მესხი:

სამხარეო სპორტის სამმართველოები სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სტრუქტურული რგოლია და ამდენად იგი სახელმწიფო სტრუქტურაა. სამხარეო სამმართველო იქმნება დეპარტამენტისა და სამხარეო ადმინისტრაციის ერთობლივი განკარგულებით და დაფინანსებაც წილობრივია. ჯერჯერობით სამხარეო სამმართველოს ხელმძღვანელობა დავალებული აქვთ ამა თუ იმ რეგიონის ერთ-ერთ სპორტის რაიონულ ან საქალაქო კომიტეტს დროებით საზოგადოებრივ საწყისებზე დაფინანსების წყაროს მოძიებამდე.

**SOS**

**ლანჩხუთის სპორტული კომპლექსი, რომლითაც ადრე თავს იწონებდა მთელი რაიონი, ამჟამად წარსული დიდების მხოლოდ აჩრდილად ქცეულა. იმისათვის, რომ კომპლექსმა ფუნქცია აღიდგინოს, ჩასატარებელია მთელი რიგი სარემონტო სამუშაოები. კომპლექსის სახურავი სადაცაა ჩამოიქცევა, დარბაზი შეუმინავია, უმოქმედოა შესანიშნავი საცურაო აუზი.**

ემზადებიან...

# ბათუმის „დინამო“ წვრთნას ტრაპიზონში აგრძელებს

როგორც ცნობილია, საქართველოს თასისა და მეათე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის მატჩები ფეხბურთში, დანარჩენი ჩემპიონატებისაგან განსხვავებით, ადრე დაიწყება. თასის მეოთხედფინალური შეხვედრები 20 თებერვალს აიღებს სტარტს, ზუსტად ერთი კვირის შემდეგ — 28 თებერვალს ქვეყნის ჩემპიონატის მეორე წრეც დაიწყება.
ერთთვიანი საზამთრო არდადეგების შემდეგ ბათუმის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივი მზადებას შეუდგა.
ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტი *ოთარ მურვანიძე* შეხვდა და ესაუბრა „დინამოს“ მთავარ მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს შოთა ჩეიშვილს.

● ***ბატონო შოთა, რა გვიჩვენა პირველი წრის მატჩებმა, და კმაყოფილი ხართ თუ არა შედეგით?***

— გულახდილად რომ გითხრათ, საერთო ჯამში, თამაშითა და შედეგით უკმაყოფილო არ ვართ, თუმცა შეიძლებოდა გაცილებით უკეთესად დაგვემთავრებინა პირველი ნახევარი. 15 მატჩიდან 6 მოვიგეთ. ამდენივე ფრედ ვითამაშეთ და სამი წავაგეთ. ფინიშის სწორზე არც თუ ისე ძლიერ ზუგდიდელ თანაკლუბელებთან წავაგეთ სტუმრად 1-2, შინ კი ფრედ 1-1 ვითამაშეთ თბილისის „არსენალთან“. საერთოდ, სტარტიც წარუმატებელი გვქონდა „ვიტ-ჯორჯიასთან“.

ჩვენმა გუნდმა 24 ქულით დაასრულა ჩემპიონატის პირველი წრე და გათამაშების ცხრილში, შედარებით მოკრძალებული მე-5 ადგილი დაიკავა.

● ***ახალი საფეხბურთო სეზონის წინ ცვლილებები ხომ არ მომხდარა „დინამოს“ შემადგენლობაში?***

— რაც მთავარია, ძირითადი ბირთვი შევინარჩუნეთ. შარშან ორმა წამყვანმა ფეხბურთელმა — გელა შეყილაძემ და ივანე მახარაძემ დატოვეს გუნდი. წლეულს კი — დავით ჭიჭვეიშვილმა, რომელიც ამჟამად მოსკოვის „სპარტაკში“ გადის შეკრებას.

გუნდში მოვიწვიეთ ახალი ფეხბურთელები, თავდამსხმელი მამუკა მინაშვილი, რომელიც სამარის „კრილია სოვეტოვში“ გამოდიოდა, გოჩა გუჯაბიძე პოლონეთში თამაშობდა, თემურ დოლიძე გერმანიის მესამე ბუნდესლიგაში გამოდიოდა, ახლა ისინი ინტენსიურად გადიან წვრთნას. მასთან ერთად ადგილობრივ საფეხბურთო სკოლებიდან ვცდით რამდენიმე ახალგაზრდა პერსპექტიულ მოთამაშეს, შეძლებენ თუ არა ჭაბუკები გუნდში ადგილის დამკვიდრებას, ამას საკონტროლო მატჩები გადაწყვეტს.

● ***ქალაქში ხმა დაირხა, რომ „დინამოს“ შემადგენლობაში ერთ-ერთ ნიგერიელ ფეხბურთელსაც ვიხილავთ.***

— სამი თვეა მოლაპარაკება მიმდინარეობს ნიგერიის ახალგაზრდული ნაკრების წევრთან უჩ უავაკესთან. იგი უკვე ჩამოვიდა ჩვენთან გასინჯვაზე, ვნახოთ.



*ბათუმელებმა გოლი გაიტანეს*

● ***რა გეგმებს ისახავს „დინამო“ მიმდინარე ჩემპიონატში?***

— ჩვენი მიზანია ვერცხლი და ბრინჯაო, თუმცა, ეს ადვილი არაა. ძნელი თამაშები გველის თასზეც. 20 თებერვალს თბილისში „ლოკომოტივს“ შევხვდებით, ოთხი დღის შემდეგ განმეორებით საკუთარ მოედანზე ვუმასპინძლებთ რკინიგზელ ფეხბურთელებს. ვნახოთ, როგორც იტყვიან, ბურთი მრგვალია.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს წარმატებით გამოვიდეთ. ამის გარანტია ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის თანადგომა, პირადად ბატონ ასლან აბაშიძისა და ქალაქის მერის ასლან სმირბას აქტიური მხარდაჭერაა. ჩვენი ფეხბურთელები ლამაზი თამაშით გადაიხდიან ამაგს.

● ***შარშან ჩინებული წარმატება გქონდათ თასისა და სუპერთასის გათამაშებაში, რას აპირებთ წლეულს?***

— მართლაც შარშან ორი თამაში მოვუგეთ თბილისის „დინამოს“ (2-1, 1-0), ქვეყნის თასი და სუპერთასიც ბათუმში ჩამოვიტანეთ, ეს უდიდეს წარმატებად უნდა ჩაითვალოს. წლეულს ამის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება, ვინაიდან ის კოლექტივები, რომლებიც შემორჩნენ თასისათვის ბრძოლაში, ენერგიულად ემზადებიან და ყველა შანსი აქვთ იფიქრონ გამარჯვებაზე. ისე, სურვილი გვაქვს, რომელიმე თასი მოვიპოვოთ, დაველოდოთ მატჩებს.

მზადების პირველი ეტაპი 10 იანვარს დავიწყეთ. დიდ ყურადღებას ვაქცევთ ფიზიკურ და სპეციალურ ფიზიკურ ვარჯიშებს, ბურთით თამაშს, ტექნიკასა და ტაქტიკას, ორმხრივ მატჩებს.

მზადების მეორე ეტაპზე თურქეთის რესპუბლიკაში, კერძოდ ტრაპზონში, გავაგრძელებთ, სადაც დაგეგმილი გვაქვს 4-5 მატჩის გამართვა.

ახლა გუნდში 27 მოთამაშეა. საბოლოოდ კოლექტივში 18 საუკეთესო დარჩება.

ჰა, ბურთი და მოედანი.

ესაუბრა
ოთარ მურვანიძე

# პირველი ნაბიჯების შტრიხები

*(პირველი გვერდიდან)*

ბატონმა მერაბმა ისიც აღნიშნა, რომ ნაკრების მწვრთნელები, უფრო, ვიდრე მთავარი მწვრთნელი, პრესაში ისე გამოთქვამდნენ აზრებს, რომ ფეხბურთელებსაც ჰქონდათ შეშფოთების და უკმაყოფილების საფუძველი; მათ მომავალი ოფიციალური მატჩებისათვის სოლიდური პრემიები დაუწესდებათ, რასაც პროფესიონალიზმის პრინციპები მოითხოვს. ნაკრებს ჯერჯერობით სპონსორი არ ჰყავს, ამიერიდან ჩვენი ეროვნული გუნდის შინაურ მატჩებზე დასასწრებად შეღავათიან ფასში გაიყიდება აბონემენტი.

16 წლამდელთა ნაკრებს დაუბრუნდება ტრიუმფატორი მწვრთნელი რევაზ გაგუა. შეგახსენებთ, რომ სწორედ მისი ხელმძღვანელობით ჩვენს ნაკრებთაგან მხოლოდ 16 წლამდელებმა მოახერხეს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა 1996 წელს. ალმასკომზე გადაწყდა, რომ I ჯგუფში გუნდების რაოდენობა XII ეროვნული ჩემპიონატისთვის შემცირდება, რასაც თურმე უეფაც გვირჩევს.

შეიცვლება მსაჯთა ანაზღაურების პრინციპი — მათ სფფ გადაუხდის გასამრჯელოს. ინტენსიურად მიმდინარეობს მსაჯთა მომზადება ნორმატივების ჩაბარებისთვის ფიზიკურ მომზადებაში — მერაბ ჟორდანიას თქმით, ჩვენ უკვე გვყავს რამდენიმე არბიტრი, რომლებსაც მუცელი არ აქვთ გადმოშვერილი.

სფფ ყოველთვიურ ფულად დახმარებას გამოუყოფს ნოდარ ახალკაცის ოჯახს. ყველა დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი ამიერიდან ამნისტირებულია, თუმცა, როგორც სფფ-ს პრეზიდენტი ირწმუნება, წესრიგის დამრღვევი ფეხბურთელები მომავალში საკმაოდ მკაცრად დაისჯებიან.

ალმასკომმა დაამტკიცა სფფ-ს 13 კომიტეტის თავმჯდომარე. მათგან მხოლოდ ერთს, ბადრი ქარქაშაძეს ერგო საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის სტატუსი, რომელიც ამავე კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე გახლდათ.

დათო თავართქილაძე

# ფეხბურთელებზე უფრო მწვრთნელებს გაუხარდათ

სფფ-ს ახალმა ლიდერებმა განახლებული ალმასკომის უკვე მეორე სხდომაზე, რომელიც 5 თებერვალს „შერატონ-მეტეხი პალასში“ გაიმართა, საყოველთაო შეწყალება გამოაცხადეს. დასჯილმა ფეხბურთელებმა ხომ გაიხარეს, მაგრამ ძალიან კმაყოფილნი ჩანდნენ მწვრთნელები.

ვიტ-ჯორჯიელი გიორგი ჭანკოტაძის მწვრთნელი ჯემალ მახარაშვილი ამიერიდან გუნდის ტაქტიკურ სქემაში, ალბათ, გარკვეულ ცვლილებებს შეიტანს და ნახევარმცველებს, რომლებიც დისკვალიფიცირებული თანაგუნდელის გამო, გაცილებით მეტ დროს უთმობდნენ უკანა ხაზზე თამაშს, თავის უშუალო მოვალეობების შესრულებას მოსთხოვს. ჩვენთან საუბარში დამრიგებელმა კმაყოფილება გამოთქვა სფფ-ს ალმასკომის გადაწყვეტილებით, ისევე, როგორც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიგლა იმნაძემ: „ჭანკოტაძის დისკვალიფიკაციამ გუნდში პრობლემები შეგვიქმნა, ვინაიდან სწორედ მას მივიჩნევდი დაცვის წამყვან მოთამაშედ. მოხარული ვარ, რომ ალმასკომმა დააკმაყოფილა ჩვენი შუამდგომლობა, მისი დაბრუნება ჩვენთვის დიდი სტიმულია. ჭანკოტაძე აზერბაიჯანის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს.“

სფფ-ს ალმასკომმა შეიწყალა აგრეთვე ერთი წლით დისკვალიფიცირებული გაგრის „დინამოსა“ და 18-წლამდელთა ნაკრების მეკარე ჟიული ჯოლოხავა. ახლა, როდესაც ვახტანგ კოპალეიშვილის გუნდს ევროპის ჩემპიონატის გადამწყვეტი შესარჩევი მატჩები ელის, ჯოლოხავას „ამნისტიამ“ კოლექტივს სულზე მოუსწრო.

მიხეილ მესხის ხსოვნის ტურნირი მინიფეხბურთში

# უკეთესი მომავლის იმედით

**ტურნირის ბოლო დღეს სენსაცია არ მომხდარა — მატჩი მესამე ადგილისათვის და, რაც მთავარია, ფინალი ფავორიტებმა მოიგეს**

**მესამე ადგილისათვის**
**დილა (გორი) — არსენალი-2 (თბილისი) 4-2 (ძირითადი დრო 2-2)**
*გოლები:* 0-1 გოცირიძე (29), 1-1 მარეხაშვილი (39), 2-1 ციცქიშვილი (45), 2-2 ოქრუაშვილი (49), 3-2, 4-2 ციცქიშვილი (51, 54).
*გააფრთხილეს:* მდივანი (დილა), გოცირიძე, ჩხაიძე (ორივე — არსენალი-2).
*მსაჯი:* ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

**ფინალი**
**ლოკომოტივი (თბილისი) — ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 1-0**
*გოლი:* ვ. კილასონია (41).
*გააფრთხილეს:* თ. ბოკერია (ვიტ-ჯორჯია), ჯანელიძე, ბარნოვი, დაუშვილი (ყველა — ლოკომოტივი).
*გააძევეს:* ნოზაძე, ა. ბოკერია (ორივე — ვიტ-ჯორჯია).
*მსაჯი:* თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

მიუხედავად გარკვეული ყოფითი ხარვეზისა, ტურნირმა, საერთო ჯამში, სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა: კი, დარბაზში ციოდა, ხშირად ითიშებოდა დენი, არ ჩამოვიდა ჯიბეგაფხეკილი „გურია“, მაგრამ უკვე ის, რომ ამ უფულობაში მოხერხდა ასეთი ასპარეზობის ჩატარება, რომელმაც საშუალება მოგვცა კიდევ ერთხელ გაგვეხსენებინა ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი, ხოლო ჩვენმა კლუბებმა გაამრავალფეროვნეს ზამთრის მოსამზადებელი ციკლი, მისასალმებელია. უნდა ითქვას ისიც, რომ, როგორც იქნა, საქართველოშიც შეგვძლებია პრესცენტრის მუშაობის სამაგალითო მოწყობა — ჟურნალისტთა აკრედიტაცია, მატჩის ოქმების დროულად მიწოდება, ნებისმიერი საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტა...

ფინალური მატჩი რკინიგზელებსა და მომავალ ვეტერანებს შორის დაძაბული კი გამოდგა, მაგრამ თემურ მახარაძის შეგირდების უპირატესობა მაინც შესამჩნევი იყო. ასე რომ, ტურნირი კანონზომიერი შედეგით დასრულდა, ობიექტურად განაწილდა პრიზებიც: გორელი თამაზ ციცქიშვილი 7 გატანილი ბურთით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირია. საუკეთესო მოთამაშის პრიზი ვიტ-ჯორჯიელმა მიხეილ მაზიაშვილმა (მან გოლეადორობითაც გაითქვა სახელი) მოიპოვა, საუკეთესო მცველად აღიარეს ლოკომოტიველი პაატა ბარნოვი. ჟიურიმ გამოავლინა ტურნირის სიმბოლური ნაკრებიც — დავით ჯანელიძე (ლოკომოტივი), ჯაბა მუჯირი, მიხეილ მაზიაშვილი, არჩილ ბოკერია (ყველა — ვიტ-ჯორჯია), გიორგი ბალაშვილი (ლოკომოტივი), ლაშა ჩხაიძე (არსენალი-2).

სფფ-ს პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას თქმით, მომავალში ამ შეჯიბრების ორგანიზაციული მხარე გაცილებით დაიხვეწება და იგი, ალბათ, საერთაშორისო გახდება.

დოპინგი მოვლენის ანალიზი

# „შავი ჭირი“ ფეხბურთსაც სერიოზულად ემუქრება

სპორტული სამყაროს თავსატეხი — დოპინგი, სულ უფრო ღრმად იდგამს ფესვებს და რაც უფრო იზრდება დატვირთვები და მაღლდება შედეგები, მით უფრო იზრდება სტიმულატორების გამოყენების საფრთხე, ფართოვდება „მოწამლულ“ სპორტის სახეობათა რაოდენობა.

შველის თუ არა საქმეს აკრძალული პრეპარატების ვრცელი ჩამონათვალი?

როგორც ირკვევა, მხოლოდ ნაწილობრივ, დიდი ეფექტი ამ გაფრთხილებას არ მოაქვს ორი მთავარი გარემოების გამო. პირველი — არის ქვეყნები, განსაკუთრებით აზიაში, სადაც ბიოსტიმულატორებს სულაც უვლიან გვერდს და წარმატებით იყენებენ მის შემცვლელ ბუნებრივ საშუალებებს. გავიხსენოთ თუნდაც ჩინელი მოცურავეების უეცარი აღზევება ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე და ამ წარმატების ბოლომდე აუხსნელი საიდუმლოება. მეორე — ერთია გაფრთხილება, ნდობა და მეორე — მკაცრი კონტროლი. რაკი დარწმუნდნენ, რომ კონტროლი მართლაც გასამკაცრებელია, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ამ მიმართულებითაც გადადგა ნაბიჯები. ყოველ შემთხვევაში მოიწადინა, მაგრამ ისე, რომ კატეგორიული კურსი არ აუღია — ერთმანეთს შეუხამა გაფრთხილებაც და კონტროლიც. მაგრამ, როცა ვერც ამგვარმა ზომამ შეაჩერა დოპინგის თაყვანისმცემლები, სოკი უფრო რადიკალური გახდა. როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ერთი კია, ალბათ უმჯობესი იქნებოდა, როცა სოკს მთელი ძალისხმევით გადაჰყავდა სპორტი კომერციალიზაციის რელსებზე, მაშინვე პარალელური ხაზის რელსებზე ემოძრავა დოპინგკონტროლის უმკაცრეს სისტემას. ახლახან შვეიცარიაში გამართული საერთაშორისო კონგრესი, რომელიც სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლას მიეძღვნა, ნამდვილად დაგვიანებული იყო.

მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. ფაქტია, მეტის დახანება აღარ შეიძლება და თუ ანტიკურ და შემდგომ კუბერნეტისეულ ოლიმპიურ იდეალებს XXI საუკუნეში სიცოცხლე უწერია, ძალზე უმკაცრესი ღონისძიებებია გასატარებელი. სოკი ეოკების მეშვეობით და საერთაშორისო ფედერაციების იმედით ცდილობს ტოტალური ლაშქრობა წამოიწყოს სპორტში „შავი ჭირის“ საწინააღმდეგოდ.

სპორტის ძალისმიერ სახეობებში, რომ ბევრი ვარსკვლავი მიმართავს სტიმულატორებს, ძველია, არახალია. მერე სათამაშო სახეობებში გაეხსნა ზოგიერთს „ალმაფრენის“ სურვილი. აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა თვით ფეხბურთიც კი. ადრინდელი თითო-ოროლა შემთხვევა ერთგვარ სენსაციურ გამონაკლისად აღიქმებოდა, ახლა თურმე ასეთი მიდრეკილება ბევრისთვის ჩვეულებრივი ამბავია. მედიკოსთა დაკვირვებით, ბევრი ფეხბურთელი ველარ უძლებს გაზრდილ დატვირთვებს, ვარჯიშზე ამხანაგური, საკონტროლო თუ ოფიციალური მატჩების სიმძიმეს და იძულებული ხდება მიმართოს სტეროიდებს. ცხადია, ფიფა ვერ წაუყრუებს და იძულებული ხდება აშკარად და აქტიურად ჩაებას დოპინგსაწინააღმდეგო საყოველთაო ბრძოლაში. მას შემდეგ, რაც ფიფას ბლატერი ჩაუდგა სათავეში, ამ პრობლემას საქმით უფრო უპირისპირდებიან და არა სიტყვით. ახლა ამ ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა დოპინგსაწინააღმდეგო კამპანიის შესახებ. „ჩვენ ვაფრთხილებთ ყველას — მოთამაშეები მატჩის წინ ტრადიციული ტესტირების გარდა, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, შემოწმებას საწვრთნელი მეცადინეობის დროს გაივლიან“ — აცხადებს ფიფას სამედიცინო კომიტეტის უფროსი მიშელ დოგი. იგივე დოგი ამბობს, რომ იდეალურ ვარიანტში ფეხბურთელი წელიწადში უნდა ატარებდეს 40 მატჩს, დღევანდელ პირობებში კი ეს რიცხვი ორმაგდება, რაც ასევე ზრდის დოპინგის გამოყენების ალბათობას.

მოკლედ, დოპინგი უტევს, დოპინგს უტევენ! მაგრამ დოპინგზე შეტევაში წარმატების მიღწევა არც ისე იოლი საქმეა — ისევ და ისევ ათასგვარი შემნიღბავი საშუალებების გამო. თუმცა, სკანდინავიაში უკვე დაამუშავეს განსაკუთრებული ტესტები, რომლის ეფექტურობის დიდი იმედი აქვთ.

## მოკლედ ნომრიდან — ნომრამდე

● **თემურ ქეცბაიას** თანაგუნდელი მალე გახდება ხორვატიის ეროვნული გუნდის ნახევარმცველი სილვიო მარიჩი — „ნიუკასლ იუნაიტედმა“ მასში ზაგრების „კროაციას“ 5,8 მილიონი დოლარი გადაუხადა.

● **უნგრულ ფეხბურთში დიდი ამბები ტრიალებს, რაც იწვევს ფიფასა და უეფას შეშფოთებას. გასულ კვირას ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა სამთავრობო გამოძიების შედეგად თანამდებობიდან დაითხოვეს. უნგრეთის სპორტის მინისტრის ტომაშ დეუჩის განცხადებით, ფედერაციის მუშაკები კორუმპირებულნი იყვნენ და არალეგალურ საქმიანობას ეწეოდნენ.**

● **ავტოკატასტროფაში** დაიღუპა ფრანგი ფეხბურთელი, ლიონის ვეტერანი მეკარე ლუკ ბორელი.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „ზამთრის თასი“ – „ბორუსიას“

ზამთარში გერმანიის პირველობაზე ორთვიანი შესვენებაა. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ფეხბურთელები გულხელდაკრეფილნი არიან. ისინი იანვარ-თებერვალში დახურულ სტადიონებზე თამაშობენ. უკვე არაერთი ტურნირი ჩატარდა დარბაზებში, ყველაზე საინტერესო „ზამთრის თასი“ კი დორტმუნდში გათამაშდა, სადაც ადგილობრივმა „ბორუსიამ“ გადამწყვეტ მატჩში დაამარცხა „ვოლფსბურგი“ — 2-1 და თასს დაეპატრონა.

## ახალბედები გერმანიის ნაკრებში

გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა გუნდში 4 დებიუტანტი მიიწვია. ესენი არიან: ნახევარმცველები მიხაელ ბალაკი, მარკო რაიხი (ორივე გერმანიის ჩემპიონ „კაიზერსლაუტერნიდან“), ბერნ შნაიდერი (მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტიდან“) და თავდამსხმელი მიხაელ პრეცი (ბერლინის „ჰერტა“).

როგორც მწვრთნელი თვლის, მას ძალიან კარგი თავდამსხმელები ჰყავს, აი, დანარჩენ რგოლებს კი გაძლიერება სჭირდება.



## საკიმ გადათქვა

მადრიდის „ატლეტიკოს“ იტალიელ მწვრთნელ არიგო საკის მეტად პარადოქსული გადაწყვეტილებების გამო ფეხბურთის წრეებში „გიჟს“ ეძახიან. სულ ორიოდე კვირის წინ იგი ამბობდა, რომ ვერ ნახულობს ადგილს ძირითად შემადგენლობაში ისეთი ფეხბურთელისათვის, როგორიც 25 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი ჟუნინიოა. მაშინ თვით ფეხბურთის მეფემ პელემ ურჩია თავის თანამემამულეს ინგლისში გადასულიყო. „ასტონ ვილამ“ მართლაც შესთავაზა მას ხუთწლიანი კონტრაქტი, რომლის მიხედვით ჟუნინიო წელიწადში 1,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებდა. ახლა საკი გაჯიუტდა და ამბობს, რომ მას სჭირდება ეს მაღალი კლასის მოთამაშე.

## „ასეთი თასი არავის სჭირდება“

ახლო წარსულში კარგად ცნობილმა ფეხბურთელმა უარყოფითი დახასიათება მისცა „თანამეგობრობის თასს“.

— თუ ფეხბურთის ხარისხით ვიმსჯელებთ, არავითარი მომავალი „თანამეგობრობას“ არა აქვს. რაზეა ლაპარაკი, როცა მინდორზე რაღაცა შემოქმედებითს ორად-ორი გუნდი უჩვენებს, დანარჩენები კი სტატისტების როლს ასრულებენ. ისე რომ, ასეთი ტურნირი განა ვისმეს სჭირდება? იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ფეხბურთი რესპუბლიკებში მოკვდა. თბილისის „დინამოც“ კი გაცილებით უარესად გამოიყურება იმ შემადგენლობასთან შედარებით, რომელიც აქ ადრინდელ შეჯიბრებებზე ჩამოდიოდა.

როგორც ლოვჩევი თვლის, იმავე „სპარტაკსა“ და კიევის „დინამოს“ შეიძლება კიდევ „სპონტი“ და თბილისის „დინამო“ დავუმატოთ. მორჩა და გათავდა.

## ყველაზე მდიდარი კლუბები

მოგვყავს დღეისათვის ყველაზე მდიდარი კლუბების სია. მათი ბიუჯეტი მითითებულია მილიონ გირვანქა სტერლინგებით.

1. „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) — 87,9.
2. „ბარსელონა“ (ესპანეთი) — 58,9.
3. მადრიდის „რეალი“ (ესპანეთი) — 55,7.
4. ტურინის „იუვენტუსი“ (იტალია) — 53,2.
5. მიუნხენის „ბაიერნი“ (გერმანია) — 51,6.
6. „მილანი“ (იტალია) — 47,5.
7. დორტმუნდის „ბორუსია“ (გერმანია) — 42,2.
8. „ნიუკასლი“ (ინგლისი) — 41,1.
9. „ლივერპული„ (ინგლისი) — 39,2.
10. მილანის „ინტერი“ (იტალია) — 39,1.
11. რიო-დე-ჟანეიროს „ფლამენგო“ (ბრაზილია) — 37,4.
12. მადრიდის „ატლეტიკო“ (ესპანეთი) — 32,4.
13. „პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი) — 31,7.
14. „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — 31,7.
15. „რომა“ (იტალია) — 28,2.
16. ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ინგლისი) — 27,9.
17. ამსტერდამის „აიაქსი“ (ჰოლანდია) — 27,8.
18. „პარმა“ (იტალია) — 27,8.
19. რომას „ლაციო“ (იტალია) — 27,3.
20. ლონდონის „არსენალი“ — 27,2.

## ცოტა უცნაური ისტორია

როგორც ცნობილია, ვლადიკავკაზის „ალანიის“ შედეგიანი თავდამსხმელი ანატოლი კანიშჩევი შარშარ მოსკოვის „სპარტაკში“ გადავიდა, მაგრამ თავი დიდად არ გამოუჩენია. ამიტომ „სპარტაკმა“ მიიღო გადაწყვეტილება, სათანადო თხოვნის შედეგად, რასაკვირველია, კანიშჩევი იჯარით ერთი წლით დაუბრუნოს... „ალანიას“.

ამასთან დაკავშირებით „ალანიას“ მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა განაცხადა, რომ ძალიან კარგად იცნობს კანიშჩევს და სწამს, რომ ეს ფეხბურთელი ყველაფერს გააკეთებს, რათა ახალ სეზონში კარგად ითამაშოს.

## ყოჩაღი ვეტერანებიც ამათ ჰქვიათ!

ლონდონის „არსენალის“ დაცვა საკმაოდ ხანდაზმული ფეხბურთელებისაგან შედგება, მაგრამ როგორც მწვრთნელი არსენ ვენგერი ფიქრობს, მათი შეცვლა საჭირო არ არის, ბოულდი 36 წლისაა, უინტერბერნი — 35 წლისა, დიქსონი — 34 წლის. ამათ დავუმატოთ 32 წლის ადამსი და მისი თანატოლი კიოუნი. ადამსი და კიოუნი უკვე 10 წელია ერთად თამაშობენ. ამ ხნის განმავლობაში „არსენალი“ სამჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი, მოიგო თასების მფლობელთა თასი, ორჯერ — ინგლისის თასი, ერთხელ კი ინგლისის ლიგის თასი.

## სად ითამაშებს ვერეტენიკოვი?

როგორც ვოლგოგრადში გამართულ პრეს-კონფერენციაზე კლუბ „როტორის“ პრეზიდენტმა გორიუნოვმა განაცხადა, ახალ სეზონში „როტორში“ უკვე აღარ ითამაშებს მისი მთავარი „დამრტყმელი ძალა“, ცნობილი სნაიპერ ოლეგ ვერეტენიკოვი, მაგრამ არ აღუნიშნავს, რომელ კლუბში გადადის.

როგორც ზოგიერთი საინფორმაციო წყარო იუწყება, ვერეტენიკოვი უახლოეს ხანებში ერთ-ერთ გერმანულ კლუბთან დადებს ხელშეკრულებას.

## „დონ ბალონის“ ლაურეატები

პოპულარულმა ესპანურმა ჟურნალმა „დონ ბალონმა“ გამოაცხადა თავისი ლაურეატები შემდეგი ნომინაციებით:

ლუის მიგელ არკონადა — როგორც ესპანეთის საუკეთესო მოთამაშე ბოლო 25 წლის განმავლობაში.

მიქაელ ლაუდრუპი — ესპანეთის ლიგის საუკეთესო ლეგიონერი ამავე ხნის განმავლობაში.

მადრიდის „რეალი“ — ესპანეთის საუკეთესო გუნდი მეოთხედ საუკუნეში.

ლუის ენრიკე — ესპანეთის საუკეთესო ფეხბურთელი 1998 წელს.

რივალდო — ესპანეთის ლიგის საუკეთესო ლეგიონერი 1998 წელს.

## „ურალანს“ არ გამოადგნენ, ახლა „ანჟის“?

კიევის „დინამომ“ თავისი შემადგენლობა 3 რუსი ლეგიონერით: სერგეი სერებრენიკოვით, არტემ იაშკინითა და სერგეი კორმილცევით გააძლიერა, თვითკი 6 ფეხბურთელის გაყიდვა მოინდომა, რომლებიც „ისე, გასასინჯად“ „ურალანს“ (ელისტა) ათხოვა. „ურალანის“ უკრაინელ მწვრთნელ პაველ იაკოვენკოს, ჩანს, ეს ექვსეული მაინცდამაინც თვალში არ მოუვიდა და ისინი მახაჩყალის „ანჟის“ გადაულოცა.

## გამოთხოვებას ფიქრობს?

ამასწინათ ჟურნალისტებთან საუბარში „მანჩესტერ იუნაიტედის“ განთქმულმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ აპირებს „პენსიაზე გასვლას“ 2003 წელს. მას კონტრაქტი გაისად უთავდება, ისე კი, თუ მართლაც 2003 წლამდე გაძლო, მაშინ „მანჩესტერ-იუნაიტედში“ მუშაობის სტაჟი 17 წელი გამოუვა, რაც მართლაც გასაოცარი იქნება. ის კი არა და, უკვე დღეისათვის ფერგიუსონი, რომელიც 57 წლისაა, ყველაზე დიდხანს მომუშავე მწვრთნელად ითვლება.

1986 წლიდან მოყოლებული მან ოთხჯერ მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი, ერთხელ ინგლისის თასი და თასების თასიც მიაყოლა.

## გერმანიის ხსენებაც კი არ სურს



34 წლის იურგენ კლინსმანმა ფეხბურთში ბევრი რამ გააკეთა. 1990 წელს იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, 1996 წელს კი ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. იგი ახლა აშშ-ში ცხოვრობს. გერმანულ გაზეთ „ბილდის“ კორესპონდენტთან საუბარში მან თქვა, რომ გერმანიის ნაკრებში დაბრუნება კი არა, საერთოდ, ამ ქვეყანაში ცხოვრებაც აღარ სურს.

— მომწონს აშშ-ში ცხოვრება, მინდა აქ სამუდამოდ დავრჩე. გერმანიაში მხოლოდ არდადეგებზე თუ ჩავალ. გადავწყვიტე მთელი ჩემი უძრავი ქონების გაყიდვა იტალიასა და გერმანიაში, ამის სანაცვლოდ კი ლოს-ანჯელესის ახლოს ვილა ვიყიდე. ჩემი აზრით, წლინახევრის ვაჟი ჯონათანი ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალიან კარგ განათლებას მიიღებს. გარდა ამისა, სკოლაში მასზე არავინ მიუთითებს: „შეხედეთ, მისი მამა განთქმული ფეხბურთელია“.

● ***ახლა გერმანიის ნაკრები ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ფლორიდაში იმყოფება. ხომ არ გინდათ თქვენს თანამემამულეებთან შეხვედრა?***

— არა. რატომ უნდა შევხვდე? პრესაში კვლავ გამოჩნდეს ცნობები, რომ მე ვაპირებ ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებას? ეს საკითხი კარგა ხანია გადაწყვეტილია.

● ***ხომ არ გიფიქრიათ იმის შესახებ, რომ ორიოდე სეზონი კიდევ ითამაშოთ ამერიკულ ლიგაში?***

— მატჩები ამერიკულ ლიგაში მხოლოდ მარტში განახლდება. ისე რომ, მე ჯერ კიდევ მაქვს დრო ვიფიქრო ამის შესახებ.

● ***როგორ ატარებს დროს ფეხბურთიდან წასული პენსიონერი?***

— როგორც ჩანს, ფეხბურთს რომ მთელ ჩემს დროს, მთელ ცხოვრებას ვანდომებდი, ბევრი რამ მხედველობიდან გამომეპარა, ბევრი რამ ვერ ვისწავლე. ახლა ვცდილობ დაკარგულის დაბრუნებას, დავდივარ ესპანური და ინგლისური ენების კურსებზე. გარდა ამისა, დიდ დროს ვანდომებ კომპიუტერის შესწავლას, ინტერნეტს. ისე რომ, ამ ბოლო ხანებში ძირითადად თავით ვმუშაობ, და არა ფეხებით.

● ***როგორ არის თქვენი გამოსათხოვარი მატჩის საქმე?***

— რა გითხრათ? ბუნებრივია, მე გული მატკინა გერმანიის ფეხბურთის კავშირის უარმა, მოაწყოს მსოფლიოს ნაკრებისა და გერმანიის ეროვნული გუნდის მატჩი. ფედერაციის პრეზიდენტი ეგიდიუს ბრაუნი, დასაწყისში, ტელეფონით რომ მელაპარაკა, თითქოს დაეთანხმა ამ წინადადებას, მაგრამ მეორე დღეს ფაქსი მივიღე ოფიციალური უარით. ვფიქრობ, ეს საქმე „კაიზერ ფრანცის“ ჩაურევლად არ გადაწყვეტილა. ეტყობა, ერთადერთი ფეხბურთელი ვარ, რომელთანაც მას პრობლემები აქვს. მატჩი კი აუცილებლად შედგება 1999 წლის 31 მაისს. ითამაშებენ „შტუტგარტი“, თავისი ათი წლის წინანდელ, 1989 წლის შემადგენლობით, როცა იგი უეფას თასის ფინალამდე მივიდა, და მსოფლიო ვარსკვლავების გუნდი, სადაც შევლენ ჩემი ყოფილი პარტნიორები მილანის „ინტერიდან“, „მონაკოს“, მიუნხენის „ბაიერნისა“ და ლონდონის „ტოტენჰემიდან“.

## ალჟირელთა ახალი მწვრთნელი

გადადგა ალჟირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მეზიანე იგხილი. ამის მიზეზი გახდა ალჟირელთა მარცხი — 0-1 ტუნისელებთან, თანაც საკუთარ მინდორზე, აფრიკის თასის მეორე ტურში. ეს ალჟირელების უკვე ზედიზედ მეორე დამარცხება იყო, რაც საეჭვოს ხდის მის შემდგომ ეტაპზე გასვლას.

ალჟირის ნაკრების ახალ მწვრთნელად დანიშნულია ასევე ადგილობრივი სპეციალისტი რაბან საადანი.

# მაინც, რა დააშავა ჰოდლმა?

გერმანელებისა არ იყოს, ინგლისელებსაც არ უყვართ ნაკრების მწვრთნელების გადაყენება. სულ ბოლოს ეს მოხდა 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, როცა თვით სერ ალფ რამსეი აიძულეს ნაკრები დაეტოვებინა. ამის შემდეგ ინგლისის ფეხბურთის ფედერაციას, კარგ სპეციალისტებთან ჰქონდა საქმე თუ ცუდებთან, ყოველთვის ზუსტად იცავდა კონტრაქტის პირობებს. ახლა კი რა მოხდა?

წარსულში გამოჩენილი ოსტატი გლენ ჰოდლი ახლა 41 წლისაა. 30 თვე ედგა სათავეში ნაკრებს. მთელი ეს არც ისე დიდი პერიოდი შეფასდა, როგორც ინგლისის ნაკრების სრული ჩავარდნა, რაზეც, რა თქმა უნდა, მწვრთნელს უნდა ეგო პასუხი.

უნდა ითქვას, რომ ჰოდლმა თავიდანვე გადაიმტერა ჟურნალისტები, ეს კი მწვრთნელისათვის, როგორც ცნობილია, ძალზე სახიფათო რამ არის. პრესა განუწყვეტლივ ესხმოდა თავს ჰოდლს, არ ესმოდა, ანდა არც სურდა გაეგო. მისი ახალგაზრდა ხელმძღვანელი სასტიკად გამოლანძღეს ლონდონში ჩილელებთან ამხანაგური მატჩის წაგების გამო. რა თქმა უნდა, ინგლისის ნაკრები მართლაც უფერულად თამაშობდა. სპეციალისტებს არ მოეწონათ ჰოდლის განცხადება იმის შესახებ, რომ ბრწყინვალედ მოთამაშე მაიკლ ოუენი მან არ მიიჩნია „ნამდვილ ფორვარდად“. წერდნენ იმასაც, რომ მწვრთნელი ვერ ფლობს სიტუაციას ნაკრებში, დისციპლინას ხშირად არღვევდნენ პოლ გასქოინი და ტედ შერინგემი, რომლებიც ალკოჰოლსაც ეტანებოდნენ და საეჭვო რეპუტაციის ქალებთანაც ერთობოდნენ. როცა ამის გამო გასქოინი ნაკრებიდან გაირიცხა, ჰოდლს არც ეს ნაბიჯი მოუწონეს. ერთი სიტყვით, ჟურნალისტებს არაფერი უნდოდათ, გარდა მწვრთნელის მოხსნისა. მათი გულის მოგება უკვე შეუძლებელი გახდა.

დაიწყო მსოფლიო პირველობა. აქაც, ექსპერტების აზრით, ჰოდლს შეცდომა შეცდომაზე მოსდიოდა. უკვე პირველ მატჩში ტუნისელებთან მან რაღაც გაურკვეველი მიზეზების გამო თამაშში არ გამოიყვანა არც დავიდ ბეკჰემი და არც მაიკლ ოუენი. მას შემდეგ, რაც პრესაში სასტიკად გააკრიტიკეს, ჰოდლმა აღიარა ეს სერიოზული შეცდომა. მალე ინგლისელები საერთოდ გამოეთიშნენ შეჯიბრებას. ეს მისი ნეგატიური რეკორდი აღმოჩნდა — ბოლო 40 წლის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ ინგლისელებს



გლენ ჰოდლი

ასეთ ადრეულ სტადიაზე დაეტოვებინათ მსოფლიო ჩემპიონატი.

ამის შემდეგ ფიქრობდნენ, რომ ჰოდლს აუცილებლად გაანთავისუფლებდნენ, მაგრამ მას გავლენიანი მფარველები გამოუჩნდნენ ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის დირექტორ-განმკარგულებელ გრემ კელისა (მას ამჟამად უკვე დაატოვებინეს თანამდებობა) და ფედერაციის პრეზიდენტ კიტ უაიზმენი. ერთი სიტყვით, ახალგაზრდა მწვრთნელმა შეინარჩუნა ადგილი, მაგრამ ვაი ამ შენარჩუნებას.

შემოდგომიდან მოყოლებული, ინგლისიის ნაკრები ძალზე უფერულად თამაშობს ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში. ამას დაერთო ჰოდლის გაყრა მეუღლესთან, სასამართლოს განაჩენით ეს ამბავი მოღალატე ქმარს დაბრალდა. შეიძლება ზოგიერთ ქვეყანაში ამას დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდეს, მაგრამ ინგლისში ხომ ჯერ კიდევ შემორჩენილია პურიტანული ტრადიციები. ერთი სიტყვით, ჰოდლის გადადგომას დღედღეზე ელოდნენ, ბოლო წერტილი კი მას ერთმა თავისებურმა ფაქტმა დაუსვა. ინგლისური საზოგადოებრიობა აღაშფოთა ჰოდლის გამონათქვამმა ინვალიდების შესახებ. მისი აზრით, ინვალიდები იტანჯებიან ადრე ცხოვრებაში ჩადენილი ცოდვების გამო. ამას ფეხბურთთან რა კავშირი აქვს, მაგრამ...

ახლა ნაკრებს დროებით ფეხბურთის ასოციაციის ტექნიკური დირექტორი ჰოვარდ უილკინსონი ხელმძღვანელობს. ასახელებენ მთავარი მწვრთნელობის პოსტის სამ ძირითად პრეტენდენტს. ესენია: არსენ ვენგერი, როი ჰოჯსონი და კევინ კიგანი.

გივი თორელი

# მაესტრო ზდენეკ ზემანი

ამ ბოლო წლებში იტალიის „სერია A“-ში დიდი სახელი მოიხვეჭა ჩეხმა მაესტრომ ზდენეკ ზემანმა, მეტად თავისებური ბედ-იღბლის ადამიანმა. მისი ცხოვრება ადრე ნამდვილ დეტექტიურ რომანს ჰგავდა, თუმცა არც ახლა აკლია თავგადასავლები და ნამდვილი აყალმაყალიც კი.

1968 წლის აგვისტოში პრაღა საბჭოთა ტანკებმა დაიკავეს. ამ დროს ზემანი ხელბურთის კლუბ „ვშ პრაღას“ მოთამაშე იყო და ჩეხოსლოვაკიის არმიის ლეიტენანტიც. მისი მშობლები კომუნისტურმა მთავრობამ არასაიმედოდ ჩათვალა. მათ ცუდი დრო დაუდგათ, გამოჩენილი მეცნიერებიც კი მალაზიების გუშაგებად და სახლმმართველებად მუშაობდნენ. რა მომავალი უნდა ჰქონოდა ასეთ პირობებში ახალგაზრდა სამხედროს?

ვინ იცის, რა მოხდებოდა შემდეგ, რომ ზემანს იტალიაში ნათესავი არ გამოსჩენოდა. ეს იყო წარსულში საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელი ჯერ პრაღის „სლავიის“, შემდეგ „პალერმოსა“ და „იუვენტუსის“ ნახევარმცველი ჩესტმირ ვიცპალეკი. შემდეგში მან დიდი სახელი მოიპოვა, როგორც მწვრთნელმა. მისი ხელმძღვანელობით „იუვენტუსი“ 70-იან წლებში ორჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, 1973 წელს კი „ბებერმა ქალბატონმა“ მეტად შეუპოვარ ბრძოლაში დაუთმო ჩემპიონთა თასი ამსტერდამის „აიაქსს“. ზემანი არალეგალური გზით მოხვდა იტალიაში და ნათესავს მიაკითხა, რომელიც იმ დროს „პალერმოს“ ხელმძღვანელობდა. ჯერ იგი შეეცადა ხელბურთი ეთამაშა, მაგრამ რადგან ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, ვიცპალეკმა იგი თავის გუნდში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მოაწყო. ასე აღმოჩნდა ზემანი ფეხბურთის სამყაროში.

ჩეხოსლოვაკიიდან ცუდი ამბები მოდიოდა, აქ იგი პრაღის სამხედრო – პროკურატურამ სამართალში მისცა, შემდეგ კი სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადეს. ზემანს იტალიაში მწვრთნელთა კურსების გავლა უნდოდა ლიცენზიის მისაღებად, მაგრამ უარი უფხრეს. ვიცპალეკის პროტექციამაც კი ვერ უშველა. მაგრამ ახალგაზრდა სპორტსმენმა ფარ-ხმალი როდი დაყარა, მეტად მტკიცე ხასიათი გამოიჩინა. მან „პალერმოსათვის“ იმდენი ნიჭიერი ჭაბუკი მოძებნა, იმდენი ახალგაზრდა დააწინაურა, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ბოლოს და ბოლოს ნება დართო მწვრთნელთა სკოლაში შესულიყო. მისი დამთავრების შემდეგ ჩეხი უკვე პროფესიონალი მწვრთნელი გახდა და შეეძლო დამოუკიდებლად ემუშავა.

დაიწყო მწვრთნელის ნარეკლიანი ცხოვრება. ჯერ ზემანი „სერია C“-ში მუშაობდა და თანაც დიდი წარმატებით. აქ მან 1984 და 1985 წლები გაატარა, 1986 წელს უკვე „სერია A“-ს კლუბ „ფოჯაში“ აღმოჩნდა 1987 წელს, როცა არიგო საკიმ „პარმა“ დატოვა, ზემანი მის ნაცვლად მიიწვიეს, მაგრამ ამ სახელოვან კლუბში მარცხი განიცადა. მასზე იტალიელი ჟურნალისტები დაცინვით წერდნენ: „ჩეხი ისე ერთობა შეტევითი თამაშით, რომ საკუთარი შარვლის დაცვაც კი ავიწყდება“. ზემანს გული მაინც არ გაუტეხია. სწორედ მის ხელში დაწინაურდნენ „პარმაში“ იტალიის ნაკრების ფეხბურთელები ალესანდრო მელი და ლუი-



ზდენეკ ზემანი

ჯი აპოლონი. რა ვუყოთ, რომ „სერია A“-ს დატოვება მოუხდა. იგი სიცილიაში გაემგზავრა და სათავეში ჩაუდგა „სერია B“-ს კლუბ „მესინას“. ეს 1988 წელს მოხდა, ორი წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატში გაიბრწყინა ზემანის ხელმძღვანელობით სწორედ „მესინაში“ დაწინაურებულმა სალვადორე სკილაჩიმ, რომელიც მალე „იუვენტუსმა“ მიიწვია.

1989 წელს ზემანი კვლავ მიიწვია „ფოჯამ“, რომლის მიზანი უმაღლეს ლიგაში დაბრუნება იყო. ეს ამოცანა ჩეხმა ორი წლის განმავლობაში გადაწყვიტა, ამასთან, მისმა გუნდმა მეტად შინაარსიანი, ეფექტური, შემტევი თამაში აჩვენა. სწორედ აქ მიიქციეს ყურადღება დღეს ესოდენ პოპულარულმა სინიორამ, აგრეთვე, ბაიანომ, რამბაუდიმ, დი ბიაჯომ. „ფოჯას“ უმაღლეს ლიგაში, რა თქმა უნდა, უჭირდა გრანდებთან თამაში, მაგრამ როცა დიდი კლუბები ფრთხილი, დაცვითი ფეხბურთის მიმდევრები იყვნენ, „ფოჯა“ უტევდა და უტევდა.

აი, რა განაცხადა ზემანმა: „რა თქმა უნდა, იტალიაში ყველა შედეგისათვის თამაშობს, მაგრამ მხოლოდ დაცვაზე აქცენტის აღება ხომ არ შეიძლება. როცა ჩემი გუნდი 90 წუთს უტევს, ჩინებულ ფეხბურთს თამაშობს, უამრავ საგოლე მომენტს ქმნის, შემდეგ კონტრშეტევაში ბურთს უშვებს და აგებს, ეს ყოველთვის საწყენია. მაგრამ, მეორე მხრივ ტრაგედიას ნუ ვქმნით, ეს ხომ ფეხბურთია. ყველა კვალიფიციურ მწვრთნელს უნდა შეეძლოს რისკის გაწევა, კრიტიკულ მომენტში ინიციატივის აღება. უამისოდ იგი ვერაფერს მიაღწევს. მე არ მომწონს სტილი, რომლის პროპაგანდასაც საკი ეწევა, იმის მიუხედავად, რომ იგი „მილანში“ წარმატებებს აღწევს. აბა სცადოს და უფრო დაბალი რანგის კლუბსაც გაამარჯვებინოს“.

ასეთი პირდაპირი გამოთქმებით ზემანმა ბევრი ჟურნალისტი კი გადაიმტერა, მაგრამ „ტიფოზებს“ ყოველთვის უყვარდათ, რომლებმაც მის კლუბ „ფოჯას“ „ზემანლანდია“ დაარქვეს.

მალე რომის „ლაციოს“ პრეზიდენტმა, სახელოვანმა დინო ძოფმა იგი თავისი კლუბის მწვრთნელად მიიწვია, რომაელებს დიდი ფინანსური შესაძლებლობები ჰქონდათ, მაგრამ იტალიის ჩემპიონატში მაინცდამაინც სახარბიელო შედეგებს ვერ აღწევდნენ. ახლა ზემანის ხელმძღვანელობით ისინი უკვე „სკუდეტოს“ პრეტენდენტები გახდნენ. და კიდევ ერთი – ჩეხი, სადაც კი მივიდოდა, ყველგან ახალ-ახალ ტალანტებს აღმოაჩენდა ხოლმე. ასე დაწინაურდნენ „ლაციოში“ ნეგრო, ფუზერი, კაზირაგი და ვენტურინი.

რა თქმა უნდა, ზემანს ერთი წუთითაც არ ავიწყდება თავისი სამშობლო. მაინცდამაინც არ მოსწონს, რა ხდება იქ: „ენთუზიაზმა, რომელიც ადამიანებმა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ იგრძნეს, საკმაოდ იკლო, რადგან წინა პლანზე სრულიად ჩვეულებრივი ეკონომიკური პრობლემები გამოჩნდა. კომუნისტური დიქტატურის მძიმე და ხანგრძლივი წლების შემდეგ ჩვენს მოქალაქეებს ძალიან უჭირთ ახალი ცხოვრების დაწყება. ვფიქრობ, მათ კიდევ ბევრი გაჭირვების გადატანა მოუხდებათ. ერთ რამეში მაინც სიამოვნებით ვიგონებ ძველ დროს. ფიზკულტურის ის დონე, ჩვენს ქვეყანას რომ ჰქონდა, სოციალისტური ბანაკის არცერთ ქვეყანაში, თვით საბჭოთა კავშირშიც კი არ ყოფილა. თითქმის ყველა სკოლას ჰქონდა ფეხბურთის მშვენიერი მინდორი, რომლებიც ყოველთვის დაკავებული იყო. ბიჭებს შეეძლოთ იქ დილიდან საღამომდე ეთამაშათ“.

„ლაციოდან“ ზემანი „რომაში“ გადავიდა, სადაც 1998 წლის ზაფხულში მის მიერ ყოველკვირეულ „ესპრესოს“ ინტერვიუ მისცა. ამას მთელს იტალიაში დიდი საფეხბურთო სკანდალი მოჰყვა. იგი ამტკიცებდა, რომ არაერთი ფეხბურთელი ნაირნაირ სამედიცინო პრეპარატს იყენებს, მათ შორის აკრძალულსაც. კერძოდ, ზემანმა ტურინის „იუვენტუსის“ ორ ფეხბურთელზე მიანიშნა, მართალია, გვარის დაუსახელებლად. იტალიური პრესის აზრით, ლაპარაკი იყო ჯანლუკა ვიალისა (რომელიც არც ისე შორს, ინგლისში იმყოფება) და ალესანდრო დელ პიეროზე. „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობა აღშფოთდა და მისი კლუბის წინააღმდეგ ფართო შეთქმულებაზე დაიწყო ლაპარაკი. სკანდალი კი თანდათან გაღრმავდა. პროკურატურაში ჩვენებები მისცეს ვიალიმ, დელ პიერომ, დეშამმა, დ. ბაჯომ, კიეზამ, რონალდომ, მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმ.

ზდენეკ ზემანი კი დღესაც ამტკიცებს, რომ მსოფლიოში ესოდენ დიდი რეპუტაციის მქონე იტალიურ ფეხბურთში ყველაფერი წერსიგში არ არის. დოპინგი, კორუფცია, „მოლაპარაკებითი მატჩები“...

ბივი თორელი

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ოთხშაბათს კონტინენტის პირველობა განახლდება

10 თებერვალს ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ორი შესარჩევი მატჩი გაიმართება: III ჯგუფში თურქეთი და მოლდოვა ითამაშებენ, ხოლო VIII-ში მალტა და იუგოსლავია. ამათგან, მხოლოდ თურქებმა და იუგოსლავებმა გამოაცხადეს იმ მოთამაშეების სია, ვინც ნაკრების მაისურს მოირგებს.

თურქთა მწვრთნელმა მუსტაფა დენიზლიმ, მიუხედავად იმისა რომ მოლდოვა არ განეკუთვნება ჯგუფის ფავორიტებს, საბრძოლო შემადგენლობას უხმო. მისმა იუგოსლავმა კოლეგამ – მილან ზივადინოვიჩმა ორი ცნობილი ფეხბურთელი არ გამოიძახა. მწვრთნელის აზრით, ამჟამად სათანადო ფორმაში არ არიან იაპონურ კლუბში გადასული დრაგან სტოიკოვიჩი და სამშობლოში დაბრუნებული დეიან სავიჩევიჩი. გუნდში არიან დებიუტანტებიც – „პარტიზანის“ მეკარე ნიკოლა დამიანაცი და ნახევარმცველი ჯორჯე ტომიჩი.

გარდა ზემონახსენები ორი ოფიციალური მატჩისა, ოთხშაბათს საინტერესო ამხანაგური შეხვედრაც გაიმართება – ჰოლანდიის ნაკრები პორტუგალიის გუნდს უმასპინძლებს.



### ტალანტები ფინეთსაც ჰყავს

სახელგანთქმული ლიტმანენის გარდა, კიდევ რამდენიმე ფინელი თამაშობს საზღვარგარეთ, თუმცა რომელიმე მათგანს თავი განსაკუთრებით არ გამოუჩენია.

შეიძლება 17 წლის მიქაელ ფორსელმა სახელი გაითქვას. ფინელ თავდამსხმელ „ჩელსის“ ძირითად შემადგენლობაში ჩატარებული ჰქონდა სულ 16 წუთი, როცა მოთამაშეთა თხოვნით მწვრთნელმა ვიალიმ გამოიყვანა იგი „ოქსფორდთან“ სათასო მატჩში. ამ მატჩში (4-2 „ჩელსის“ სასარგებლოდ) ჭაბუკმა ფეხბურთელმა ორი მშვენიერი გოლი გაიტანა.

### გარდაიცვალა ლაიოშ ტიხი

63 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა გამოჩენილი უნგრელი ფეხბურთელი ლაიოშ ტიხი.

მან თავისი პირველი მატჩი ნაკრებში 1955 წელს ჩაატარა ნორვეგიელების წინააღმდეგ (5-0), სადაც ბურთიც გაიტანა. უკანასკნელად კი ამავე გუნდში 1964 წელს ესპანელებთან ითამაშა (1-2). ტიხი მსოფლიოს 1958 და 1962 წლების ჩემპიონატებში მონაწილეობდა, სადაც შესაბამისად 4 და 3 გოლი გაიტანა. სულ კი ნაკრებში 71 მატჩი ითამაშა და 49 გოლი გაიტანა. ეს ყველა დროის ეროვნული ნაკრებების სნაიპერების მუდმივ ცხრილში მეათე შედეგი გახლავთ.

# შეიძლება ერთდროულად ნაკრების წვრთნაც და კლუბისაც?

მოსკოვის ყოველკვირეული „ფუტბოლის“ კორესპონდენტი ესაუბრა ცნობილ მწვრთნელს, მოსკოვის „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელ იური სიომინს. ახლა სიომინი, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებულია, თასების მფლობელთა თასზე ჰაიფას „მაკაბისთან“ გამარჯვებით.

● ***ითვლება, რომ მეოთხედფინალში „ლოკომოტივს“ შედარებით იოლი მეტოქე შეხვდა. ეს არც „ჩელსია“ და არც „მალიორკა“. მაგრამ ამავე დროს ისიც ვთქვათ, რომ იმავე „მაკაბიმ“ მოსკოვის „ტორპედო“ დაამარცხა...***

– ... შარშან შემოდგომაზე კი „პარი სენ-ჟერმენი“. ეს კი მის კარგ რეპუტაციაზე მეტყველებს. თავის მხრივ, „მაკაბიც“ თვლის, რომ კენჭისყრაში ბედმა გაუღიმა. თქმა არ უნდა, ეს ძალზე სერიოზული მეტოქეა. მისი მწვრთნელის დუშან უგრინის სახელიც ბევრს ნიშნავს. ეს ის კაცია, ვინც 1996 წელს ევროპის პირველობაზე ჩეხეთის ნაკრებს ვერცხლის მედლები აალებინა. მეორეც: როცა კლუბი „პერუჯის“ ბრაზილიელ ემერსონ პერეირას ყიდულობს, და, ამავე დროს პოლონეთის ნაკრების კაპიტან ბუაჩაკსაც იძენს, ეს გუნდის კლასზეც მეტყველებს და მის ფინანსურ შესაძლებლობებზეც.

● ***„ლოკომოტივიც“ ერთ დონეზე არა დგას. როგორ ფიქრობთ, თქვენი გუნდის პოტენციალი ახლა უფრო მაღალია, თუ ერთი წლის წინათ, როცა თასების თასზე ბერძნულ აეკ-ს ხვდებოდით?***

– ჩემი აზრით, ახლა უფრო მაღალია. გუნდი გაძლიერდა, შარშან არც თუ იშვიათად ერთი ფორვარდით ვთამაშობდით, რადგან ზაზა ჯანაშიას ღირსეული პარტნიორი არა ჰყავდა. ახლა არჩევანი გვაქვს – გარასი, ბულიკინი, რინდიუკი.

● ***მოგწონთ, როგორ მოექცა რუსეთის ფეხბურთელთა კავშირის აღმასკომი ანატოლი ბიშოვეცს, რომელიც ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ისე გაანთავისუფლა, რომ მისი ახსნა-განმარტებაც კი არ მოისმინა? ეს მაშინ, როცა სულ ცოტა ხნის წინათ 2002 წლამდე სრული გარანტიები მისცა?***

– ნაკრების მარცხზე პასუხს მთავარი მწვრთნელი აგებს. ასეთია მსოფლიო პრაქტიკა, ამას ვერსად გაექცევი. ბიშოვეცის ნაკრებმა კი ზედიზედ ექვსი მატჩი წააგო. ასეთი რამ ჩვენს ისტორიაში ჯერ არ მომხდარა, ამიტომაც მთავარი მწვრთნელის გადადგომა კანონზომიერი იყო. არსებით მომენტს ვგულისხმობ და არა ფორმას.

ამავე დროს სხდომაზე ბიშოვეცისათვის აუცილებლად უნდა მოესმინათ ცუდი შედეგი, უარყოფითი შედეგიც ხომ შედეგია, ასეთ შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ. რა ხდება ჩვენთან. როცა სადირინი მოხსნეს, ჩატარებული მუშაობის ანგარიში არავის მოუსმენია, არც იგნატიევის მოსმენა მოინდომა ვინმემ. იგივე მოუვიდა ბიშოვეცსაც.

● ***როგორ გგონიათ, შეიძლება ერთი და იგივე პიროვნება კლუბის მთავარი მწვრთნელიც იყოს და ნაკრებისაც.***

– მსოფლიო ფეხბურთის მთელი გამოცდილება ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს იძლევა. მეც იგივე აზრისა ვარ. თუმცა, ვფიქრობ, ოლეგ რომანცევი კამიკაძე არ არის, ნაკრების ინტერესები გულთან მიაქვს, განიცდის, და არც თავისი რეპუტაციის გაფუჭება უნდა, როცა ამ შეთავსებით სამუშაოზე დათანხმდა. იგი მშრომელი ადამიანია, და ეტყობა, გადაწყვიტა, რომ მოახერხებს ასეთ პირობებში საქმის გაძღოლას. ღმერთმა ქნას მაგრამ, მე როცა ნაკრებში ბორის იგნატიევთან მეორე მწვრთნელად ვმუშაობდი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მთავარი მწვრთნელი, მით უმეტეს, როცა გუნდი სანახევროდ ლეგიონერებისაგან შედგება, დილიდან საღამომდე დატვირთულია. კლუბისათვის დრო ვიღასა აქვს!

● ***რუსეთის ფეხბურთელთა კავშირო წინათ ასეთი შეთავსების წინააღმდეგი იყო. ახლა კი თვლის, რომ საბაზო გუნდის არსებობა (იგულისხმება, ცხადია რომანცევის „სპარტაკი“) ამის საშუალებას იძლევა.***

– საბაზო გუნდი იმას ჰქვია, რომლის 7-8 მოთამაშეც ნაკრებში შედის. მაშინ, როცა ნაკრებში ერთი გუნდიდან სულ 3-4 მოთამაშეა, რომელ საბაზო კლუბზეა ლაპარაკი. ნაკრებში მთელი დაცვაც კი რომ ერთი კლუბის იყოს, მაინც ნუ ვილაპარაკებთ საბაზო გუნდზე.

● ***რას ელით ამ ახალი სეზონისაგან?***

– ვფიქრობ, ეს მეტად საინტრესო სეზონი იქნება. ცსკას ოლეგ დოლმატოვის ხელმძღვანელობით შეუძლია „სპარტაკს“ ჩემპიონობისათვის ბრძოლაში კონკურენცია გაუწიოს. გაიზრდება საპრიზო ადგილების პრეტენდენტთა რიცხვიც. გააძლიერეს შემადგენლობა და უფრო მაღალი მიზნები დაისახეს, როგორც „როტორმა“, ისე „ალანიამ“. „ტორპედო“, რომელსაც ახალი, მეტად საინტერესო მწვრთნელი ვიტალი შევჩენკო ჰყავს, დარწმუნებული ვარ, მედლებისათვის იბრძოლებს. უბრალო მეთვალყურე არც მოსკოვის „დინამო“ იქნება, რომლის პოტენციალიც საკმაოდ მაღალია. „ლოკომოტივი“ შარშან ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალისტი იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უფლებაც კი არა გვაქვს უფრო დაბალი მიზანი დავისახოთ. რუსეთის ჩემპიონატში ყოველგვარი მედლები გვქონდა, ოქროს გარდა. ყველა მატჩში გამარჯვებისათვის განვეწყობით, მხოლოდ ეს იქნება ახალი წარმატების საწინდარი.



# მაიკლ, ისევ ციხეში?

ტაისონის უბედობას დასასრული არ უჩანს. ჩვენი დროის ამ. უპოპულარეს პროფესიონალ მოკრივეს ხიფათი და აქედან გამომდინარე მძიმე შედეგები მუდამ თან სდევს. რამდენს არ ეცადნენ მისი მენეჯერი და ადვოკატები, მაგრამ შტატ მერილენდის მოსამართლემ კანონი ყველაფერზე მაღლა დააყენა და ტაისონს შარშან აგვისტოში მომხდარი ავარიის დროს ორი პიროვნების ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებისათვის 1 წლით ციხეში გამწესა. თუმცა, დაზარალებულები უარს აცხადებდნენ სარჩელზე, მოსამართლემ მომხდარ ფაქტს მაინც მიუსადაგა კანონი და რინგის „მეფეს" კიდევ ერთხელ მოუწევს ცხოვრების თავიდან დაწყება ან დაიწყებს კი?..

# „ტოტო-ლოტო" – მოთამაშეთა სიხარული!

*7 თებერვალს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის მეხუთე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:
**11. 14. 26. 27. 34. 41.**
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
5 ციფრი – 362.10 ლარი.
4 ციფრი – 12.80 ლარი.
3 ციფრი – 1.30 ლარი.

**„ჯეკ-პოტი" 40 048 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7"**-ის მომგებიანი ციფრებია: **8. 5. 5. 0. 8. 7. 2.**
**შემდეგი** ტირაჟი შედგება 14 თებერვალს, ჯეკ-პოტი **40 048** ლარი.
***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

# ნოდარ (აშხენ) გიორგობიანი



**თავზარდამცემი იყო ეს სამწუხარო ცნობა, რომელიც გუშინ დილით შევიტყვეთ — ამ ქვეყნიდან წავიდა პიროვნება, რომელიც ესოდენ ახლობელი, გულთბილი მეგობარი, დამრიგებელი და ვაჟკაცობის მაგალითი იყო თაობებისთვის. მან ყველასთვის და ყოველთვის სასურველი მომხიბლავი და ეშხიანი მოსაუბრის, იუმორით ალსავსე ობიექტურობისა და სიმართლისათვის მებრძოლი კაცის განსახიერებით იცხოვრა ამქვეყნად.**

**საქართველოს სპორტულმა სამყარომ და ფართო საზოგადოებრიობამ აშხენ (ასე იცნობდა მას ყველა) გიორგობიანი 50-იანი წლებიდან გაიცნო. თუმცა, მას უამრავი მსმენელი ჰყავდა მთელს საქართველოში, მისი მაღალპროფესიული რეპორტაჟები, განსაკუთრებით სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებიდან, სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში სპორტის მოყვარულებს. და მაინც, მისი უპირველესი გატაცება კალათბურთი იყო. უმაწვილობაში სპორტის ამ სახეობას ნაზიარები, შემდეგ თამამად მიუჯდა მიკროფონს და ღრმა ცოდნით უძღვებოდა რეპორტაჟებს. ასევე იყო გატაცებული ჭადრაკით და ჭაბუკობაში წარმატებებიც ჰქონდა.**

**დიდხანს იმუშავა საქართველოს რადიოს სპორტულ გადაცემათა რედაქციის მთავარ რედაქტორად. ბოლო ხანებში კი დიდი შრომა გასწია საქართველოში სპორტული ნარდის დასამკვიდრებლად. კოლეგებს არასდროს დაავიწყდებათ მასთან უშუალო ადამიანური ურთიერთობები, ახალგაზრდებს, კი ის ამაგი, რომელიც მან მომავალ ჟურნალისტთა პროფესიული დაოსტატებისთვის გასწია.**

ლელოელები

## ოლიმპიურ ტალღაზე

# ... და კიდევ 40 ქალაქი

*ლოზანაში სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტს კანადელ დიკ პაუნდს მიაჩნია, რომ აუცილებლად უნდა შემოწმდეს ქრთამის აღებაში ეჭვმიტანილი კიდევ 40 ქალაქი, ეს ის ქალაქებია, 1996-2006 წლების ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე რომ ჰქონდათ პრეტენზიები.*

*მაინც რომელ ქალაქებზეა ლაპარაკი? ატლანტაზე, ათენზე, ტორონტოზე, ბელგრადზე, მანჩესტერზე, მელბურნზე, ნაგანოზე, სიდნეიზე, ბერლინზე, პეკინზე. მათ შორის რუსეთის – სოჭსა და სანკ-პატერბურგზე. რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ყველა ეს ქალაქი გარეულეია ქრთამის მიცემაში, მაგრამ შემოწმება, დ. პაუნდის თქმით, მაინც საჭიროა.*

*თითქოს ამ განზრახვის დასამტკიცებლად, ავსტრალიიდან მოვიდა ცნობა: სოკ-ის კენიელ და უგანდელ წევრებს გადაუხადეს 50-50 ათასი ავსტრალიური დოლარი, ზედ კენჭისყრის წინ 1993 წლის 23 სექტემბერს, როცა 2000 წლის თამაშების ჩატარების ადგილის ბედი წყდებოდა. მაშინ სიდნეიმ ორად-ორი ხმით გაუსწრო პეკინს.*

*ძნელი სავარაუდო არ არის, რომ კორუმპირება სხვადასხვანაირად მოხდა. მაგალითად, შვეციის ეოკ-მა განაცხადა, რომ იძულებული იყო ხუთ აფრიკულ ქვეყანასთან მოეწერა ხელი შეთანხმებაზე სპორტული ნაგებობების, მშენებლობის დასახმარებლად, როცა სტოკჰოლმი ოლიმპიური თამაშების ჩატარების პრეტენდენტი იყო.*

*ამ ქვეყნებს შორის – კენია, სპილოს ძვლის ნაპირი, სვაზილენდი, რომელთა წარმომადგენლები გარეულნი არიან კორუფციაში.*

* * *

*იქვე სოკ-ის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თამაშების ჩატარებას სოლტ-ლეიკ-სიტისა და სიდნეიში არაფერი დაუდგება წინ. სოკ-ის აღმასკომს დიდი ცვლილებების შეტანა აქვს გადაწყვეტილი ქალაქების განაცხადების შეტანაში თამაშების ჩატარების უფლებისათვის და ოლიმპიადის მასპინძელთა არჩევის წესში.*




**9 თებერვალი, სამშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი" (21.00). ***II არხი.*** „სუპერმატჩი" (21.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.10; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***რუსეთის ტელევიზია.*** საფეხბურთო მიმოხილვა (12.30). ***ТВ центр.*** „ფეხბურთი დიალოგებში" (11.45). ***REN TV.*** „სპორტკურიერი" (21.45; 0.45). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე" (18.30; 22.40). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკის გაკვეთილი (8.05; 16.20). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (10.10; 22.30). სამთო თხილამურები (11.55; 23.25). ამერიკული ფეხბურთი (13:55). ბოდიბილდინგი (16.35). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (18.55). ჩოგბურთი (19.25; 1.20). ***ESPN.*** ფეხბურთი (0.00; 15.00; 17.30; 18.00, 21.30). თხილამურები (2.00). სკეიტბორდი (2.30). კალათბურთი (4.30; 9.00). კრიკეტი (6.30; 8.30; 20.00). ბოდ.ბილდინგი (7.30; 22.30). მოტოსპორტი (13.00). ტანვარჯიში (23.30). ***EUROSPORT.*** სპორტის ექსტრემალური სახეობები (13.00; 3.30). ბიატლონი (14.00; 18.00). ფეხბურთი (16.00; 1.20). ბობსლეი (19.30; 3.00). მძლეოსნობა (0.00). სამთო თხილამურები (0.30).

**10 თებერვალი, ოთხშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „გოლი" (21.25). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.00; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.55). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ბიატლონი (13.55). ***REN TV.*** „სპორტკურიერი" (21.45; 0.40). ***AST.*** „სპორტი ყოველდღე" (18.30; 22.40). ***НТВ плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილი (8.05; 16.10). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (8.45). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (9.15). სამთო თხილამურები (10.20). ჩოგბურთი (14.35). დიდი რინგი (18.10). ჩოგბურთი (19.25). სპორტი ტოტალიზატორი (22.50). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (23.30). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (1.00; 3.30; 11.00). მოტოსპორტი (2.00; 17.30). ცხენოსნობა (2.30). კალათბურთი (5.00; 9.00; 13.00; 18.30). ფეხბურთი (7.30; 21.00; 22.55). კრიკეტი (8.30; 18.00; 21.30). ბილიარდი (12.00). მოტოსპორტი (17.30; 22.30). ***EUROSPORT.*** ბიატლონი (13.00; 14.00). სამთო თხილამურები (16.00). თხილამურები (17.00). ჩოგბურთი (19.30). მოტოსპორტი (23.00; 3.30). დარტსი (1.30). ფიტნესი (2.30).

**11 თებერვალი, ხუთშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.10; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.05). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ბიატლონი (13.50). ***ТВ центр.*** კალათბურთი. ევროლიგა (20.55). ***REN TV.*** „სპორტკურიერი" (21.45; 0.35). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე" (18.30; 22.40). ***НТВ плюс спорт.*** სამთო თხილამურების გაკვეთილი (8.05; 16.10). ჩოგბურთი (8.45; 19.25). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (12.10). კრივი (14.05). ჭადრაკი (16.25). ლათინოამერიკული ფეხბურთი (19.00). სპორტული ტოტალიზატორი (22.45). კალათბურთი. ევროლიგა (22.55; 1.25). სამთო თხილამურები (0.20). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (1.00; 3.30; 11.00). თხილამურები (2.00). ფიტნესი (2.30). კალათბურთი (4.00). კრიკეტი (6.00; 12.00). ფეხბურთი (8.00; 10.30; 13.00; 18.00; 19.00). მოტოსპორტი (10.00; 23.00). ბილიარდი (16.00). კრივი (21.00). ***EUROSPORT.*** სამთო თხილამურები (13.00; 21.30; 0.30). ბიატლონი (14.00; 15.00). სნოუბორდი (17.30). ჩოგბურთი (18.00; 19.30). მოტოსპორტი (1.30; 4.00). ფეხბურთი (2.00).

**12 თებერვალი, პარასკევი**
***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი" (22.30). რაგბი (21.20). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.10; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***რუსეთის ტელევიზია. НТВ.*** საფეხბურთო კლუბი (18.55). ***REN TV.*** „სპორტკურიერი" (21.45). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე" (18.30; 22.40). ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეის გაკვეთილი (8.05). ლათინოამერიკული ფეხბურთი (8.45). კალათბურთი (9.10; 13.35). სამთო თხილამურები (10,40; 21.20; 0.20). ჩოგბურთი (15.00; 1.10). ევროპის საფეხბურთო კვირა (17.20). ტაილანდური კრივი (18.40). სპორტული ტოტალიზატორი (22.40). ჰოკეი (22.50). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (1.00; 3.30; 11.00), კალათბურთი (4.30; 6.30; 9.00; 13.00). ბოდიბილდინგი (8.30; 22.30). ბილიარდი (12.00). კრიკეტი (15.00; 19.00; 20.00). ფეხბურთი (16.00; 18.00; 21.00). რაგბი (17.30). ჩოგბურთი (18.30). ცხენოსნობა (22.00). ტანვარჯიში (23.00). ***EUROSPORT.*** სამთო თხილამურები (13.00; 17.30; 21.30). ბიატლონი (14.00; 18.30). სნოუბორდი (17.00; 4.00). ჩოგბურთი (22.30). კრივი (2.00).

**13 თებერვალი, შაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „ავტოსპორტი" (20.00). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.10; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***ევრიკა.*** „სტუმარი" (19.45). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ჰოკეი. ევროლიგა (16.15; 0.30). ***PTP.*** ბიატლონი (18.00). ***ТВ центр.*** სპორტული კომედია „ედი" (20.00). ***ACT.*** „სპორტი" (23.00). ***НТВ плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილი (10.35). სამთო თხილამურები. (10.40; 1.50). ჩოგბურთი (13.55). ჰოკეი (18.00). ბოდიბილდინგი (19.10). „ბარსელონა" – „რეალის" მატჩის წინ (22.30). „ბარსელონა" – „რეალი" (23.55). ***ESPN.*** ფიტნესი (0.30). სპორტული ცენტრი (1.00; 3.30). კალათბურთი (4.30). ფეხბურთი (5.00; 6.00; 8.00; 8.30; 9.00; 18.30; 19.00; 21.00). ბილიარდი (9.30). ჩოგბურთი (11.00). გოლფი (12.30). კრიკეტი (15.00; 16.00). კრივი (17.00). ***EUROSPORT.*** სამთო თხილამურები (13.00; 21.30; 0.00). ბიატლონი (14.00; 17.45). ბობსლეი (15.45; 16.45). ჩოგბურთი (19.30; 22.30). რალი (1.30; 4.30). დარტსი (3.00).

**14 თებერვალი, კვირა**
***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „სუპერმატჩი" (20.30). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.10). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (18.00). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.15). ***ევრიკა.*** „კვირის სპორტი" (18.30). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ბიატლონი (13.55). ჰოკეი. ევროლიგა (22.35). ***REN TV.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერ-ლიგა (16.30). „სპორტკურიერი" (21.45). ***ACT.*** სპორტი" (15.05; 23.00). ***НТВ плюс спорт.*** ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (10.55). ჩოგბურთი (13.55). სამთო თხილამურები (15.35; 21.20; 0.20). მძლეოსნობა (17.25). საჭადრაკო მიმოხილვა (20.10). ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატის მატჩი (22.30). ***ESPN.*** კრივი (0.00). რაგბი (2.00). კარატე (2.30). სპორტული ცენტრი (3.30; 11.30; 17.30). ბოდიბილდინგი (4.00). კალათბურთი (4.30; 18.00; 22.30). ფეხბურთი (6.30; 7.00; 9.00; 16.00; 19.30; 20.00). ჩოგბურთი (12.00). კრიკეტი (15.00). ჭიდაობა (17.00). მოტოსპორტი (22.00). ***EUROSPORT.*** თხილამურები (13.00; 16.30). ბიატლონი (14.00; 19.30): ბობსლეი (15.30; 17.30). ველოსპორტი (18.30). სამთო თხილამურები (21.30; 0.30). ჩოგბურთი (22.30). რალი (2.15 4.00). მძლეოსნობა (2.45).

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სამძიმარს უცხადებს ამავე კომიტეტის წევრს თამაზ თევზაძეს მამის გარდაცვალების გამო.**

**გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს თამაზ თევზაძეს მამის გარდაცვალების გამო.**
დაკრძალვა 9.II.14 სთ. ი. აბაშიძის 22 (ყოფილი ბარნოვის ქუჩა).

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტის ვეტერანი მუშაკი და ღვაწლმოსილი პედაგოგი**
**გაიოზ თათარაშვილი**
**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**



6



10





11

**თარაზულად:** 1. შეჯიბრების დროს ნაჩვენები უმაღლესი შედეგი. 3. წარსულში გამოჩენილი იუგოსლავიელი კალათბურთელი. 4. საჭიდაო ხალიჩა ძიუდოში, 6. ქართველი ძიუდოისტი. მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი *(ფოტო)*, 10. რუსი მოჭიდავე, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი *(ფოტო)*, 12. რომელიმე სნეული ორგანოს გამოფიტვა და დაკნინება, 17. ჯარის საბრძოლო წყობა, 18. ჭადრაკის ფიგურა, 19. „ფორმულა-1"-ის ბრაზილიელი პილოტი, 20-21. ცნობილი ლიტველი კალათბურთელი, 21. რუსი ჰოკეისტი. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 22. ფიდეს პრეზიდენტი 70-იან წლებში, 23. რუსი მოციგურავე, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 24. საირიგაციო ნაგებობა, 25. ურუგვაელი ფორვარდი, 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 28. „მილანის" და იტალიის ნაკრების მცველი, 30. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის ომისშემდგომ წლებში, 31. ლონიერი მამაკაცი, 32. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 33. ქართველი მოჭიდავე, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი.

**შვეულად:** 1. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა, 2. ქვეყანა, სადაც თამაშობს გიორგი ნემსაძე, 3. სპორტული ნიჩბიანი ნავი, 5. ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელი, 7-21. რუსი ტანმოვარჯიშე, რომის ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონი, 8. ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გერმანელი ფეხბურთელი, 9. სამხრეთ ამერიკის 1995 წლის რჩეული ფეხბურთელი, 10. „რეალის" იუგოსლაველი ფეხბურთელი, 11. წარსულში ცნობილი გერმანელი მძლეოსანი ქალი *(ფოტო)* 13. ხელოვნების ამა თუ იმ დარგის მიღწევათა დათვალიერება, 14. გერმანიის საფეხბურთო კლუბი. 15. დაბრკოლება, 16. ოლიმპიური კლასის იალქნიანი ნავი, 21. „ფრაიბურგის" ქართველი ლეგიონერი, 26. ქართველი მოჭიდავე, მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი, 27. ადამიანის განცდა, გრძნობა, 28. ფეხბურთელის ამპლუა, 29. სამაგიდო თამაში.

შეადგინა ბიძინა წირქვაძემ
(თბილისი)



# საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**
**1. მd6!**
**1. ...მფ:d6 2. ეf7+ მფc6 3. ეc7X.**
**1. ...მფd4 2. ე:e4+ მფc3 3. კe1X.**
**1. ...e3 2. ეf5+ მფd4 3. კe5X.**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 2. პატერსონი, 4. „ლეგია", 6. ნესტა, 9. რაუნდი, 11. ანთაძე, 12. ფიშერი, 13. სამბო, 14. იტალია, 18. პაიკი, 19. რეკორტანი. 20. იუდა, 21. „ემპოლი", 22. „იბერია", 23. „ლელო", 24. „არაუ", 25. „რაპიდი", 27. რასელი, 29. ბორგი, 30. კლინსმანი, 31. დვირი, 32. იგრიკა, 35. მეტრი, 36. სირენა, 38. ევანსი, 39. „ოსკარი", 41. „იტილი", 42. კრივი, 43. ალექსეევი. შვეულად: 1. ორსი, 2. პანური, 3. ინძაგი, 4. ლახტი, 5. გურგენიძე, 7. სმეტანინა, 8. ატაცი, 10. ივანოვი, 11. არბიტრი, 12. ფრანჩესკოლი, 15. ალექსანდრია, 16. მემორიალი, 17. ანდერსონი, 25. რაიციგერი, 26. იანკერი, 27. რომარიო, 28. ინდურაინი, 33. გოლფი, 34. „ალანია", 36. სპასკი, 37. ნურმი, 40. როსი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე